ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 13
(11 879)

22 – 24 თებერვალი, 2005 წ.
ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ცნობები სპორტული ორგანიზაციებიდან

◆ **საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი** 27 თებერვალს შეხვდება სპორტის დეპარტამენტის მიერ პრიორიტეტულად აღიარებული სპორტის სახეობების ფედერაციების წარმომადგენლებს. მეორე დღეს კი გაიმართება სეოკ-ის აღმასკომის სხდომა, რომელიც საბოლოოდ და სრულად დააკომპლექტებს აღმასკომს, დაამტკიცებს ვიცე-პრეზიდენტს და გენერალურ მდივანს, განიხილავს სხვა საკითხებს.

◆ **საქართველოს სპორტის დეპარტამენტში** დასრულების ფაზაშია დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სპორტსმენთა ხელფასს. მაგალითად, ნავარაუდევია ოლიმპიურმა ჩემპიონმა მიიღოს 1200 ლარი თვეში, პრიზიორებმა 800-800, მსოფლიოს ჩემპიონმა — 900, პრიზიორებმა 700-700, ევროპის ჩემპიონმა — 600, პრიზიორებმა — 400-400; გასული ოლიმპიური თამაშების (ათენი) ყველა მონაწილისთვის ნავარაუდევია 200-200 ლარი ასევე ყოველთვიურად. ხელფასს მიიღებენ აგრეთვე ახალგაზრდებში გამარჯვებულები და პრიზიორები, ჭაბუკებიც...

◆ **ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის** გენერალურმა მდივანმა **ომზარ შოშიტაშვილმა** გვაცნობა, რომ ფედერაციამ დაიწყო თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ყოველ წონაში 5-5 კანდიდატის შერჩევა მომავალი (პეკინი) ოლიმპიური თამაშებისთვის.

ისმინეთ!

„ეთხოვოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს:

ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა და მწვრთნელთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების კურსების გაუმჯობესების შესახებ;

რესპუბლიკის სპორტულ-ღონისძიებათა კალენდრით საშეჯიბრო სისტემის მოგვარების შესახებ. .

ეთხოვოს სახელმწიფო კანცელარიას:

სკოლამდელ დაწესებულებებში ფიზიკური აღზრდის მეთოდისტების საშტატო ერთეულების აღდგენის შესახებ;

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კლასგარეშე მუშაობის ხელმძღვანელების სახელმწიფო სარგოების, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა საგანაკვეთო ხელფასებთან გათანაბრების შესახებ;

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული საცურაო აუზებისათვის საშტატო ერთეულების აღდგენა.“

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისადმი თბილისის განათლების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის

თ. გუდაძის მოხსენებითი ბარათიდან.

ნომერში:

- როზა ბერიკაშვილი და მისი სკოლა
- „ლელო“ და ლელოელები
- კეთილშობილი ფეხბურთელები
- ქართული ფეხბურთის პათოლოგიის დიაგნოზი
- „ზესტაფონი“ თასს უახლოვდება...
- „ჩელსი“ თასიდან გამოთიშეს...
- კანადელი ჰოკეისტები გინესის წიგნში

- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი

კალათბურთი
ვაჟთა
ეროვნული ჩემპიონატი

დინამო — სტუ
ფოტო ელდარ [illegible]შვილისა.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი საიუბილეო თარიღს, დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ვეტერან მესტენდურეს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ეროვნული ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს სასტენდო სროლაში **ტარიელ ჟღენტს**.

* * *

საქართველოს სროლის ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს საქართველოს ვეტერან მესტენდურეთა ბრწყინვალე წარმომადგენელს მრგვალ სტენდზე სროლაში, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს და ორგზის პრიზიორს, ევროპის რვაგზის ჩემპიონს და ორგზის მეორე პრიზიორს, მსოფლიოს ოთხგზის რეკორდსმენს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ეროვნული ნაკრების უფროს მწვრთნელს **ტარიელ ჟღენტს**.

* * *

„ლელო“ უერთდება ამ მილოცვებს.

თსუ დაბრუნდა?

გამოცხადდებოდა სათამაშოდ თსუ თუ გამოეთიშებოდა ჩემპიონატს? ეს კითხვა აწუხებდა ყველას, ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენს ეროვნულ პირველობას. მძიმე ეკონომიკურმა ვითარებამ აიძულა დედაუნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდი დამდგარიყო ულტიმატუმის წინაშე. ისე, ნამდვილად გასაოცარია, ერთბაშად გადაესვას ხაზი ხსენებული უმაღლესი სასწავლებლის უძველეს საკალათბურთო ტრადიციებს და ბედის ანაბარა მიატოვო გუნდი, რომელიც წარსული დიდების მემკვიდრეა და თავადაც შემართულია გააღრმაოს ტრადიციები.

იყო დახმარების გაწევის დაპირება და თსუ-ს გუნდიც კვირას გამოცხადდა „თუჯთან“ სათამაშოდ რუსთავის საკალათბურთო დარბაზში. დაგვეთანხმებით, როცა ყოველგვარი ხალისი წართმეულია და არც პერსპექტივაა მთლად გარანტირებული, ძნელია თავდადებით ითამაშო, ძნელი კი არა, შეუძლებელია. რუსთაველებსაც არ გასჭირვებიათ მატჩის თავიანთ სასარგებლოდ დასრულება — 81:70.

თბილისში, ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზის ჭერქვეშაც არ გამართულა ცხარე ბრძოლები — ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ივარაუდებოდა — ლიდერებმა ადვილად და შთამბეჭდავად მოუგეს ქვედა ზონის გუნდებს. „დინამომ“ თელაველებს აჯობა 88:57 (30:15, 16:15, 26:16, 21:11), სსუ „ავიამშენთან“ დამარცხდა 66:90 (17:29, 22:20, 14:19, 13:22), გათამაშების ლიდერმა სტუ-მ კი „მაქაბს“ აჯობა 127:76 (34:18, 29:24, 29:17, 35:17).

გათამაშების ცხრილში ახლა ასეთი მდგომარეობაა.

სტუ	18	16	2	+359	34
დინამო	19	15	4	+399	34
ავიამშენი	18	15	3	+387	33
თუჯი	19	10	9	+104	29
თსუ	19	10	9	+167	28
მაქაბი	18	4	14	-391	22
ბურჯი	17	2	15	-299	19
სსუ	18	1	17	-606	19

ირაკლი სარალიძე.

„მომავლის სკოლის“ მომავალი იმედი – ჯაბა გელაშვილი

„მომავლის სკოლა“ — ასე ჰქვია თბილისში ერთ-ერთ საშუალო სკოლას, რომლის ორიგინალურობაზე თვით მისი სახელი მიანიშნებს. ამ სკოლას ქართული სპორტის მომავალ იმედსაც უკავშირებენ. მათ შორის კი, ვინც უკვე ასახელა სკოლა, არის სამთომეთხილამურე, 12 წლის **ჯაბა გელაშვილი**, რომელიც უცხო სულაც არ არის „ლელოს“ მკითხველებისთვის.

წლევანდელ სპორტულ სეზონში ჯაბა გელაშვილი იმედიანად ასპარეზობს. ევროპის ზამთრის კურორტებზე (შეგახსენებთ, ჯაბამ წლის დასაწყისში ჩეხეთში ერთი მეორე და ორი მესამე ადგილი დაიკავა თანატოლებში). ამჯერად ჩვენი ნორჩი მეთხილამურე იტალიის კურორტ პინცევოლს ტრასებზე ასპარეზობდა ბავშვთა პოპულარულ საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც ტოპოლინოს თამაშებითაა ცნობილი. წლევანდელი ღონისძიება გამორჩეული იყო — ოლიმპიური ცეცხლიც კი აანთეს და ასპარეზობას „მცირე ოლიმპიადა“ უწოდეს. ჯაბა გელაშვილი პირველ დღეს გიგანტსლალომში X ადგილზე გავიდა, უძლიერესთა ათეულში მოხვდა იგი სპეციალურ სლალომშიც — IX ადგილი. აღსანიშნავია, რომ არაოფიციალურ ჩათვლაში ჯაბა ორჯერ საუკეთესო იყო, როგორც თანატოლთა შორის ყველაზე უმცროსი.

წინ ჩეხეთის ღია პირველობაა.

სოფიკო ხეთაგაშვილი, ტელეფონით.

დავით სვიმონიშვილი ათვლას იწყებს...

ძიუდოისტთა მორიგ საერთაშორისო ტურნირს ჰამბურგმა უმასპინძლა. სუპერთასის ეს ასპარეზობა, რომელიც წლეულს რიგით მესამეა, ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობისთვის შორსგამიზნულ გეგმებზე უფრო იყო გათვლილი, ვიდრე კონკრეტულად ამ შეჯიბრების შედეგებზე. განახლება და განახლება — აი, რა არის მთავარი! ამ თვალსაზრისით ჩვენი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი და, საერთოდ, ფედერაცია, მუდმივ ძიებაშია, რაც, უდავოდ მისასალმებელია, რადგან ადრე თუ გვიან, თაობათა ცვლის პროცესი ხომ უთუოდ დადგება. ჰოდა, რაც უფრო ადრე შეიგულებ ვეტერანთა შემცვლელებს, მით უკეთესი.

რა უნდა ითქვას ჰამბურგის ტურნირზე? **შოთა ხაბარელი** ზოგი შეგირდით კმაყოფილია, ზოგით — არა. 60 კგ წონით კატეგორიაში ახალგაზრდა **დავით სვიმონიშვილმა** შესანიშნავად განვლო გზა ფინალამდე და სწორედ იქ, სადაც ოქროს მედლის ბედი წყდებოდა, უფრო გამოცდილი კორეელი **ჩო ნამ სუკი** აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე და ჩვენი ათლეტი მეორე ადგილს დასჯერდა. ამავე წონაში მეხუთე იყო, ასევე ჩვენი ნაკრების წევრი თბილისელი დავით ასუმბანი, რომელმაც, გახსოვთ, ალბათ, საქართველოს ჩემპიონატში მოუგო სვიმონიშვილს. კიდევ ერთი მეხუთე ადგილი ჩვენებიდან წილად ხვდა **გიორგი გუგავას** (100 კგ).

ხსენებულ ძიუდოისტთა გარდა ტურნირში გამოდიოდნენ **ზეზვა ებელაშვილი, მინდია ხომიზური** (ორივე — 66 კგ), **ოთარ ახალაია** (73), **გრიგოლ შინჯიკაშვილი, გიორგი ბაინდურაშვილი** (ორივე — 81), **ირაკლი ცირეკიძე** (90), **გიორგი გუგავა** და **ლევან რაზმაძე** (ორივე — 100).

სეზონის მეორე სტარტი

სადაც ცხენია, იქ მხედარია, ცხენმხედარის სიჩაუქეს კი სპორტული ასპარეზობა წარმოაჩენს. საქართველოში დღეს ისეთი სარბიელი, სადაც საერთაშორისო შეჯიბრებებიც ტარდება, თბილისშია მხოლოდ შემორჩენილი — იპოდრომზე.

2005 წლის სპორტული სეზონი ჯერ კიდევ ძალას იკრებს, მაგრამ თბილისელმა ცხენოსნებმა, თავიანთ მერნებთან ერთად, შესაძლებლობების გამოვლენა უკვე ორჯერ მოასწრეს დაბრკოლებათა გადალახვაში.

ამჯერად „ჟოკეი-კლუბის“ ღია პირველობამ მოუხმო სტარტზე ყველას, ვინც თბილისის იპოდრომზე სპორტის ამ ულამაზეს სახეობაში ოსტატდება. შეჯიბრება კლასიკური პროგრამით ჩატარდა ისე, როგორც ეს საერთაშორისო წესებითაა მიღებული.

№1 კონკურში ახალგაზრდა ცხენებისთვის პირველობა არავის დაუთმო შსს პირველი ბატალიონის ესკადრონის წარმომადგენელმა როინ მარგიანმა (ცხენი „ხედი“), მეორე იყო გიორგი აფციაური („სულგრძელი“), მესამე — ცოტნე ლაბაშია („ბაქსი“). ორივე მხედარი „ჟოკეი-კლუბიდანაა“. **№2 კონკურში ახალგაზრდა ცხენებით** ადგილები ასე განაწილდა: 1. გიორგი აფციაური („სულგრძელი“) — „ჟოკეი კლუბი“, 2. ოლეგ რექტოვი („კარდინალი“, კერძო მფლობელის ცხენი), 3. ცოტნე ლაბაშია („ბაქსი“). **№3 კონკურში უფროსი ასაკის ცხენებისთვის** გამარჯვებული და პრიზიორები „ჟოკეი კლუბიდანაა“. პირველი იყო ცოტნე ლაბაშია („პაგი“), მეორე — ივანე ნორაკიძე („ფლოქვი“), მესამე — შალვა გაჩეჩილაძე („სადაფი“).

იმავე ასაკის ცხენებისთვის **№4 კონკურში** კვლავ ლაბაშია და „პაგი“ იყო საუკეთესო, მეორე ადგილზე გავიდა ლაბაშიას თანაგუნდელი ომარ გელაშვილი („ფანდური“), მესამეზე — გეგი მეტონიძე („დავლური“) — „ჟოკეი კლუბი“ და კახაბერ კიკიანი („ფახლავა“) — შსს განსაკუთრებულ დავალებათა პირველი ბატალიონის ესკადრონი.

თორნიკე გაჩეჩილაძე.

შენიშვნები პროგრამის პროექტზე

საქართველოში იქმნება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ახალი ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების სასწავლო პროგრამა

განათლების სამინისტროში შემუშავდა პროექტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ფიზიკური აღზრდის გაკვეთილების ახალი სასწავლო პროგრამისა, რომლის საჯარო განხილვაც იგეგმება რამდენიმე დღეში სპორტის აკადემიაში. პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი სახელწოდებით: „ფიზიკური აღზრდისა და სპორტულ-თავდაცვითი ინტეგრირებული კურსის სწავლების პროგრამა“, რომელიც ოთხგანყოფილებიანია და მოიცავს: 1. ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროგრამას (I-VI კლასებისათვის); 2. სპორტულ მუშაობას სკოლაში სპორტის სახეობების მიხედვით (VII-XII კლასებისათვის); 3. ადამიანის უსაფრთხოების საფუძვლების პროგრამას (I-VI კლასებისათვის); 4. სასწავლო საველე შეკრებების პროგრამას (VII-XII კლასებისათვის).

ჩემი აზრით, დაუშვებელია პროგრამის ამ სახით მიღება. უმჯობესია მოხდეს პროგრამის ოთხი განაყოფიდან ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განაყოფების ცალკე გამოყოფა და პროგრამის შემდეგი სახელწოდებით მიღება: „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების სასწავლო პროგრამა“.

პროექტის თანახმად, სკოლებში VII კლასიდან XII კლასის ჩათვლით, შემოდის სპორტის სწავლება შემდეგი სახით: პროგრამაში მოცემულია სპორტის 13 სახეობის სასწავლო მასალა, კლასების მიხედვით მასალის საათთა განაწილებით წელიწადის განმავლობაში. მეცადინეობების ჩატარება გათვალისწინებულია კვირაში ორჯერ 45-წთ. კლასგარეშე სპორტული სექციის სახით. ამასთანავე აღნიშნულია, რომ სკოლაში უნდა იყოს სამი სპორტული სექცია და აქედან მძლეოსნობა ყველასათვის სავალდებულოა, დანარჩენი ორი კი არჩევითი.

ის. მე-2 გვ.

როზა ბერიკაშვილი: სპორტი პროფესიონალიზმითაა ძლიერი

როზა ბერიკაშვილი. დოსიე: დაიბადა 1950 წლის 14 ივნისს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორი ფაკულტეტი — ჟურნალისტიკის, ტურიზმისა და სასტუმროების ეკონომიკის მენეჯერი და ფიზკულტურის ინსტიტუტი.

სპორტული მიღწევები: ტანვარჯიშში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, სპარტაკიადების ჩემპიონი; ღირსების ორდენის კავალერი, სპორტის დამსახურებული მუშაკი.

მუშაობდა სპორტის კოლეჯში პედაგოგად; სპორტულ ტანვარჯიშში მწვრთნელად; ტელევიზიაში სპორტულ კომენტატორად; ამჟამად ტანვარჯიშის სპორტსკოლის დირექტორია.

◆ *ქალბატონო როზა, თუ შეიძლება მოკლედ გაგვაცანით თქვენი სკოლის ისტორია და წარმატებები.*

— ჩვენი სკოლა არის ტანვარჯიშულ სახეობათა ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლა, რომელიც თბილისის მერიის სპორტის სამსახურს ექვემდებარება. ეს სკოლა დაარსდა 1992 წელს. მხატვრული ტანვარჯიშის სამი სახეობიდან, განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია ბატუტზე ხტომამ. ამ სახეობაში გვყავს მსოფლიო და ევროპის ვერცხლის პრიზიორი **ლუბა გოლოვინა** და მსოფლიო ბრინჯაოს პრიზიორი **თენგიზ კოშკაძე**. გაყინული დარბაზის მიუხედავად, ისინი მაინც ვარჯიშობენ.

◆ *რა იმედებით და პერსპექტივით დაიწყო თქვენი სკოლისთვის ახალი წელი?*

— აქამდე ძალიან რთულ პირობებში ვმუშაობდით. ადრე სპორტულ ტანვარჯიშს საკუთარი ბაზა არ გააჩნდა, ვქირაობდით. ქვეყნის პრეზიდენტმა იმედი ჩაგვისახა, რომ სპორტს დაეხმარება. სახელმწიფოს უჭირდა და თანხების გაცემა ვერ ხერხდებოდა, ახლა რაღაც იმედი გვაქვს.

მწვრთნელები გაუსაძლის პირობებშიც კი სიყვარულით ეკიდებიან საქმეს, არც ერთს არ უფიქრია მიატოვონ სკოლა და ბავშვები.

იმედი მაქვს, რომ ოთხი წლის შემდეგ, პეკინში ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი ბატუტზე მხტომელი იასპარეზებს. თუ უკეთესი პირობები და საშუალება გვექნება, საქართველოშიც ჩავატარებთ საერთაშორისო ტურნირებს. დიდ მხარდაჭერას ვგრძნობთ თბილისის მერიის სპორტის სამსახურისგან.

◆ *ინარჩუნებთ თუ არა ტრადიციებს და მემკვიდრეობითობას?*

— ტრადიციებს ვინარჩუნებთ. მართალია, ცოტა გვიჭირს, მაგრამ კოლექტივს იმედი მაქვს. ბატუტზე ხტომაში გვყავდა მსოფლიო ჩემპიონები, ევროპის ჩემპიონები და საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულებიც.

◆ *ვიცით, რომ ადრე ძალიან გიჭირდათ ფინანსურად, დღეს რა მდგომარეობაა?*

— წლეულს შეიძლება ღონისძიებებზე იმდენი თანხა არ გამოიყოს, მაგრამ ძირითად შეჯიბრებებს დავაფინანსებთ. ახლა ნამდვილად უკეთესი მდგომარეობა გვაქვს.

◆ *წლეულს რომელ ასპარეზობებში გეგმავთ მონაწილეობას ქვეყნის გარეთ?*

— მხატვრულ ტანვარჯიშში, ჯგუფურ ვარჯიშში მივიღებთ მონაწილეობას ევროპის ჩემპიონატზე, ოღონდ, იუნიორებში. გამოვალთ აგრეთვე ევროპის ახალგაზრდულ თამაშებში. ამავე დროს მივიღებთ მონაწილეობას ბატუტზე ხტომაში მსოფლიო ჩემპიონატში და მსოფლიო თასზე. მსოფლიო თასი გაიმართება კრასნოდარში, მსოფლიო პირველობა კი ჰოლანდიაში. მხატვრულ ტანვარჯიშში, როგორც მსოფლიოს, ისე ევროპის ჩემპიონატები, დაგეგმილია რუსეთში.

◆ *ხართ თუ არა ორიენტირებული მომავალი ოლიმპიადისათვის სპორტსმენთა მომზადებაზე.*

— კი, როგორ არა. ორი ბავშვი აუცილებლად წავა ოლიმპიადაზე. ჩვენი ოცნებაა მედალი მოიპოვონ.

◆ *რამდენი მწვრთნელი მუშაობს ამჟამად სკოლაში და რა პრინციპით ხდება მათი შერჩევა?*

— ამჟამად ოცდასამი მწვრთნელი მუშაობს სკოლაში, მათი შერჩევა კი პროფესიონალიზმის მიხედვით ხდება.

◆ *კიდევ რა საკითხებზე ისურვებდით ყურადღების გამახვილებას?*

— ძალიან დიდი სურვილი მაქვს ჩვენს სკოლაში ოლიმპიური ჩემპიონი აღიზარდოს. მინდა, რომ სპორტში მოვიდეს სპორტის მოყვარული და პროფესიონალი ხალხი. ვისურვებდი ტანვარჯიშის სამყაროში ყველა ერთმანეთს სცემდეს პატივს...

რუსუდან ხუროშვილი

„ლელო“ და ლელოელები. იგონებს თენგიზ გიორგაძე

სტუმრიანობა

მახსოვს, განსაკუთრებით 50-60-იან წლებში, „ლელოში“ ხშირი სტუმრიანობა იყო. ძირითადად სპორტსმენები და მწვრთნელები გვაკითხავდნენ. ისინი ჩვენს ჟურნალისტებთან მეგობრობდნენ. ირაკლი უგულავას დროს კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ცნობილი მსახიობებიც გვსტუმრობდნენ — პიერ კობახიძე, იაკობ ტრიპოლსკი, გოგი ტატიშვილი, ტარიელ საყვარელიძე, გოგი გელოვანი და სხვები. მაშინ ტერიტორიულად თეატრი ახლოს იყო „ლელოსთან“. მომსვლელები ახალგაზრდობაში თეატრით გატაცებული ირაკლის მეგობრები იყვნენ. გვწვევია აგრეთვე, გამოჩენილი მუსიკოსი რეზო ლაღიძეც იგი თინა შატბერაშვილის მეუღლე გახლდათ.

საინტერესო საუბრები იმართებოდა. მაგალითად, ბატონი რეზო დიდ სარბიელზე პირველად გასული ნონა გაფრინდაშვილის წარმატებული თამაშის საიდუმლოების ახსნას ითხოვდა.

ყველაზე მეტი მომსვლელი ბიჭიკო ქორქიას ჰყავდა. პირველად მასთან ვნახე ახლოს ბორის პაიჭაძე, ბასა ღოლობერიძე, სპარტაკ ჯეჯელავა, ნესტორ ჩხატარაშვილი, დუკა რამიშვილი, ოტია ჟორდანია, გოგი ანთაძე და ბევრი სხვა ცნობილი ფეხბურთელი და მწვრთნელი. მათი ნაამბობი ყველა ლელოელს აინტერესებდა.

კალათბურთელები და მოჭიდავეები ნოდარ გუგუშვილთან მოდიოდნენ. ნოდარი მათზე წერდა წერილებს, ნარკვევებს, ისინი სტუმრობდნენ აზრების გასაზიარებლად. საქმე ისაა, რომ 1950-1951 წლებში ნოდარი თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებს დაჰყვებოდა სსრ კავშირის ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩებზე. სალაპარაკო და სათქმელი ბევრი იყო. მით უმეტეს, რომ დინამოელებმა ჩემპიონობა და თასი მოიპოვეს. გვსტუმრობდნენ ნოდარ ჯორჯიკია, ვაჟა ქლენტი, სულიკო თორთლაძე, ვოვა ინწკირველი და სხვა. ერთხელ ლეგენდარული ოთარ ქორქიაც გვეწვია. მისი ერთი ნაამბობი დამამახსოვრდა.

— ჩინეთში რომ ვიყავით, პეკინში ეროვნული საუზმით გამასპინძლება ვითხოვე, — გვიყვებოდა ბატონი ოთარი. — მაშინვე მომიტანეს. ძალიან კმაყოფილი დავრჩი. გემრიელი იყო. ორ დღეში სათამაშოდ შანხაიში ჩავედით, აქ ჩემი მოწონებული საუზმე მოვითხოვე. უარი მითხრეს: — არა გვაქვსო. ჩვენთან ასეთი ჯიშის... გველები არ არისო. სიტყვა გველი რომ გავიგონე, მაშინვე გული ამერია. მერეც რომ გამახსენდებოდა, ვგრძნობდი თავს ცუდად.

მოჭიდავეებიდან გვაკითხავდნენ გივი კარტოზია, ვახტანგ ბალავაძე, მირიან ცალქალამანიძე, ამურა ციმაკურიძე და სხვები.

ერთხელ გივი კარტოზიამ ღიმილით მთხოვა:

— „ლელოში“ ვკითხულობ ეფიმ გელერის თამაშზე. მოიერიშე ყოფილა. იქნებ მაჩვენო მისი რომელიმე ასეთი პარტია.

— რა თქმა უნდა, გაჩვენებ, მაგრამ, მაპატიე, თამაში თუ იცი?

გივის გაეღიმა. ალბათ გელერს ვერ ვაჯობებ, ვერც შენ, მაგრამ ნახვა მაინტერესებს.

რა თქმა უნდა, იქვე გავშალეთ ჭადრაკი და პარტია ვაჩვენე. მერე იგი „ლელოშიც“ დავბეჭდე, როგორც კარტოზიას თხოვნა. ამ ჩვენს საუბარსა და პარტიის ჩვენებას სხვა სტუმრებიც და ლელოელებიც დაესწრნენ.

ლელოელთა სტუმრები სხვებიც ყოფილან: ველოსიპედისტი ავთო გუნია (იგი გარდაცვალებამდე ლელოელთა მოკითხავი იყო), წყალბურთელი ნოდარ გვახარია, ტანმოვარჯიშე რეზო შარაბიძე, ძალოსნები დიტო შანიძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, მძლეოსანთა ცნობილი მეტრი ლევან გიორგაძე და სხვები. ჩვენი დიდი მეგობარი გახლდათ წარსულში გამოჩენილი კალათბურთელი, არბიტრი და სპორტული ჟურნალისტი ლევან ფალავანდიშვილი. რედაქციიდან წასვლისას იგი ყველას გვეპატიჟებოდა ვერის ბაზარში ერთ ჭიქა არაყზე და ას გრამ ჯონჯოლზე. თავად უყვარდა ეს ნუგბარი.

ალარაფერს ვამბობ მოჭადრაკეთა მოკითხვაზე. ერთხელ ნონა გაფრინდაშვილი და მისი მწვრთნელი მიხეილ შიშოვი გვეწვივნენ. ეს იყო ე. ბიკოვასთან მატჩის წინ. მათ საუბარს ყველა ლელოელი დაესწრო. სამახსოვროდ მიშა ზარგარიანმა ფოტოსურათი გადაიღო.

დამამახსოვრდა მიხეილ ტალის მწვრთნელის ალექსანდრე კობლენცის სტუმრობა. მაშინ „ლელოს“ რედაქცია გამომცემლობის ძირითადი შენობის (ლენინის ქ. 14) მეხუთე სართულზე იყო განთავსებული. ჩემი ოთახიდან კარგად ჩანდა თბილისის პეიზაჟი, მისი სილამაზე. ვიდრე ვისაუბრებდით, კობლენცმა მკითხა: როგორი ხელფასი გაქვსო. ვერ მივხვდი, რატომ დაინტერესდა. ვუპასუხე. გაიღიმა და თქვა: 50 მანეთით ნაკლები უნდა გქონდესო. რატომ-მეთქი, შენი ფანჯრიდან თბილისის ისეთი მომხიბლავი ხედი ჩანს, რომ ფული იქით უნდა გადაიხადოო.

საუბრის ასეთი შესავალის შემდეგ კობლენცმა მე და ბიჭიკოს (ჩვენ ერთ ოთახში ვისხედით) ბევრი გვიამბო მიხეილ ტალის შინაურ ამბებზე.

აი, ასეთი სტუმრიანობა იყო „ლელოში“. ეს მოსწონდათ ჩვენს რედაქტორებს და თანამშრომლებს. ბევრს ვგებულობდით. თავს სპორტული ცხოვრების ფერხულში ვგრძნობდით...



შენიშვნები პროგრამის პროექტზე

პირველი გვერდიდან

ჩემი აზრით, სკოლებში სპორტის მეცადინეობების შემოღება, თუ გავითვალისწინებთ დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებას, დაგვიანებულიცაა. მაგრამ ასეთი ფორმით, როგორც პროექტშია წარმოდგენილი, ყოვლად დაუშვებელია. აუცილებელია დავნერგოთ არა სპორტული სექციები, არამედ, სპორტის გაკვეთილები საერთო სასწავლო დღის რეჟიმში, ამასთანავე, აუცილებელია სპორტის გაკვეთილების რაოდენობის გაზრდა კვირაში 2-დან 4 საათამდე. ასევე აუცილებელია სპორტის სახეობების სწავლების რაოდენობის გაზრდა, ნაცვლად სამისა, მინიმუმ, სპორტის 5 სახეობამდე.

ჩემს მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები და წინადადებები გამომდინარეობს გამოცდილებიდან, — სპორტის გაკვეთილების სწავლება დიდი ხნით ადრე დავნერგე (1998 წლიდან) თბილისში სკოლა-ლიცეუმ ‘მწიგნობართუხუცეს'ში“, სადაც სპორტის გაკვეთილები ტარდებოდა კვირაში 4-ჯერ და წელიწადში მოსწავლეები სწავლობდნენ სპორტის რვა სახეობას.

დარწმუნებული ვარ, რომ პროგრამის ავტორები გაითვალისწინებენ შენიშვნებს, წინადადებებს და საბოლოო სახით მივიღებთ დასავლური .სტანდარტების დონეზე ნორმალურ პროგრამას, მაგრამ ყოველივე ამის შემდეგ აუცილებელია მთავარი პრობლემის გადაჭრა: პროგრამის განხორციელება დღესდღეობით შეუძლებელია, რადგან არ არსებობს არანაირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სკოლების 80%-ში სპორტული დარბაზები ავარიულ მდგომარეობაშია.

მაშინ, როდესაც ქვეყანაში პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენს სამხედრო-თავდაცვის სფერო, ლაპარაკია ჯარის აღმშენებლობაზე, აღსადგენია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ამისათვის აუცილებელია გვყავდეს: ჯანმრთელი, ძლიერი, ფიზიკურად კარგად მომზადებული, შრომისუნარიანი და ბრძოლისუნარიანი ახალგაზრდობა. ყოველივე ამას კი მივაღწევთ იმ შემთხვევაში თუ ქვეყანაში ფიზიკური აღზრდა და სპორტი გამოცხადდება პრიორიტეტულ დარგად, გამოიყოფა თანხები, შეიქმნება სათანადო პირობები სკოლაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტისათვის, ყოველივე ამის განხორციელებას თუ დღესვე შევუდგებით, შედეგს 4-5 წელიწადში მივიღებთ და შესაძლებელი გახდება ახალი სასკოლო პროგრამის განხორციელებაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროგრამა მხოლოდ ფურცელზე დარჩება.

კახა ხარიტონაშვილი

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის,
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და
მეთოდიკის კათედრის მასწავლებელი

თქვენთვის, ერუდიტებო!

1. ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რომელი წელი ითვლება ანტიკური ეპოქის პირველი ოლიმპიური თამაშების ჩატარების წლად?

ა — 772; ბ — 776; გ — 780.

2. სად ჩატარდა უძველესი ხანის პირველი ოლიმპიური თამაშები?

ა — ათენში; ბ — სპარტაში; გ — ოლიმპიაში.

3. ძველი ეპოქის რამდენი ოლიმპიური თამაშებია ცნობილი?

ა — 293; ბ — 294; გ — 295.

4. ჩვენი წელთაღრიცხვის რომელ წელს გაუქმდა ანტიკური ოლიმპიადები?

ა — 390; ბ — 394; გ — 398.

5. რომელ წელს წამოაყენა პიერ დე კუბერტენმა ოლიმპიური თამაშების აღდგენის იდეა?

ა — 1886; ბ — 1890; გ — 1894.

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-გ.

ფოტომატიანე

სურათი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, 1959 წლის შემოდგომაზე, თბილისის იპოდრომზე, რაგბში ჩატარებული პირველი ვარჯიშის შემდეგაა გადაღებული. ეს იყო საქართველოს მორაგბეთა პირველი გუნდი — სპ. მარცხნიდან I რიგში: ამოსაცნობია, ანზორ სალირაშვილი, კობა ოსიაშვილი, გივი ჯავახიშვილი, მერაბ რუაძე, დემურ მეზურნიშვილი, რეზო ზუკაკიშვილი; დგანან: ამოსაცნობია, ამოსაცნობია, ვახტანგ ბედიაშვილი, ბიჭიკო დათუაშვილი, ორესტი დიმიტრიადი, გია კოპალეიშვილი, ალექსანდრე რუსანოვი, როლანდ ჭოტაშვილი, რამაზ დათუნაშვილი, ამოსაცნობია, ჟაკ ასპეკიანი (მწვრთნელი).

ფოტო გადაღებულია გუნდის კაპიტან **ნოდარ ყიფიანის** მიერ.

ამოუცნობების ვინაობა, გთხოვთ შეგვატყობინოთ.

მარცხენა ფოტო 1962 წელსაა გადაღებული, რომელზედაც იგივე პოლიტექნიკური ინსტიტუტის მორაგბეთა გუნდია აღბეჭდილი. მარცხნიდან. I რიგში: თამაზ ცხაკაია, გივი ჯავახიშვილი, ჯემალ ბერაძე, ტარიელ ნებიერიძე, სიმონ ბილისაშვილი, თემურ მეზურნიშვილი, გიორგი ტონია; დგანან: რეზო მესხი, გია ჩეჩელაშვილი, პავლე საფაროვი, ნოდარ ყიფიანი (კაპიტანი), ორესტი დიმიტრიადი, ალბერტ კრიხელი, დიტო ოსეფაიშვილი, ზაურ მგელაძე, ჟაკ ასპეკიანი (მწვრთნელი).

ვფიქრობთ, ეს ფოტოები სიცხადეს შეიტანს დავაში, თუ ვინ იყო პირველი კაპიტანი.



ნულოვანი დასაწყისი

სამი ნული ორი ერთიანის წინააღმდეგ, ასეთია შესვენება მოლეული ეროვნული პირველობის გაგრძელება. მეთექვსმეტე ჩემპიონატის XIX ტური გოლებით ერთობ მწირი გამოდგა. ხუთ მატჩში მხოლოდ ორი გოლის გატანა მოახერხეს ფორვარდებმა, სხვა მატჩებში დასაწყისიც და დასასრულიც ერთი იყო, სამი ნულოვანი ფრე.

თამაშის დამთავრებამდე თხუთმეტიოდე წუთით ადრე მელქაძის კინკილა გოლით თბილისის „დინამომ“ შინ მოუგო ბოლნისის „სიონს“. სტუმრები საკმაო ხანს უმკლავდებოდნენ ჯამარაულისა და ბაბუნაშვილის მიერ მოქსოვილ კომბინაციებს და მხოლოდ მელქაძის გამოჩენამ შეიტანა გარდატეხა მასპინძელთა სასარგებლოდ. ლევანის გოლმა „დინამო“ ორი ქულით დააწინაურა გათამაშების ცხრილში და თავად ფორვარდიც წინ გაიჭრა ბომბარდირთა დავაში.

დედაქალაქური გუნდების რისხვად ყალიბდება „ზესტაფონი“, სათასო სენსაციის შემოქმედებმა „დინამოს“ „თბილისიც“ მიაყოლეს და ჩემპიონატის დასაწყისის აშკარა აუტსაიდერი ახლა უკვე პირველობის მთავარ ალმოჩენად შეიძლება იქცეს. თემურ მახარაძის შეგირდებმა ცაკარიასის ბიჭების დასამარცხებლადაც ერთი, თურმანიძის სწრაფი გოლი იკმარეს და ახალი სეზონი ორი გამარჯვებით ერთობ რიხიანად დაიწყეს. გამოირიცხა ზესტაფონელთა რიგებში ნაკრების მეკარის დევაძის გადასვლა, მას ყოფილი ვიტელი მამარდაშვილი შეცვლის.

გოლების სიმცირე, ალბათ სეზონის დასაწყისით თუ აიხსნება. გუნდებმა საწვრთნელი მატჩების შემდეგ პირველი ოფიციალური შეხვედრები ჩაატარეს და მერე და მერე მოვლენ კარგი თამაშისა და გოლების იშტაზე. პირველობის ერთ-ერთმა ლიდერმა ქუთაისის „ტორპედომ“ რკინიგზელებს უმასპინძლა, ვერაფერი გააწყო და ფრეს დასჯერდა. მატჩი სტუმრების უპირატესობით წარიმართა. „ლოკომოტივი“ ბურთს მეტად ფლობდა, მძაფრადაც უტევდა, თუმცა, თბილისელთა თავდამსხმელებმა ქუთაისელთა მეკარე მერლანს ვერაფერი მოუხერხეს. მირზა მასპინძელთაგან საუკეთესო იყო და გუნდს ქულაც მოუტანა. პირველობის აშკარა აუტსაიდერმა გორის „დილამ“ საშუალო დონის ზღვისპირულ „დინამოსთან“ ქულები გაიყო. შედეგით ორივე გუნდის თავკაცი კმაყოფილი იყო. გორელებს ცხრილის ფსკერიდან თავის დაღწევა კი გაუჭირდებათ, მაგრამ ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებენ. ფოთში „კოლხეთმა“ „ვიტ ჯორჯია“ მიიღო.

საქართველოს XVI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

კარნევალე და კომპანია თბილისში გულდაწყვეტილნი დაბრუნდნენ. „ფაზისზე“ თანაბარი, დაძაბული მატჩი გაიმართა. უკეთეს პირობებში მომზადებული ვიტელები მოგებას გეგმავდნენ, მაგრამ თბილისური შეკრებით დაკმაყოფილებულმა კოლხებმა, მხოლოდ ქულა გაატანეს სტუმრებს.

პირველობა ეშხში თანდათან შევა, მატჩებს შედეგიანობა და მაყურებელი მოემატება. აგერ, მეორე მატჩია, ზესტაფონში ფეხბურთი ანშლაგით მიდის, რაც ალსანიშნავი და მისასალმებელი ფაქტია.

ჩემპიონატი განახლდა, ბათუმში გადატანილი სათასო მეოთხედფინალის პირველი მატჩიც შედგა ზესტაფონელთა მორიგი ტრიუმფით, პარასკევს კი ქართული საფეხბურთო ელიტა XX ტურს ჩაატარებს.

XIX ტურის სტატისტიკა

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 1000 მაყურებელი.

დინამო (თბ) — სიონი 1-0

დინამო: მამალაძე, შაშიაშვილი (ოდიკაძე, 46), ლ. ქელიძე (ორბელაძე, 62), სალუქვაძე, რომერო, ნემსაძე, კანდელაკი, ჯამარაული, კაკალაძე, დვალი, ბაბუნაშვილი (მელქაძე, 70).

სიონი: ბობლიაშვილი, მიქელაძე, სიდამონიძე, ოქროპირიძე, ბ. შელია, გ. დოლიძე, ბაჯელიძე (ჩაჩუა, 66), ზ. ავალიანი, ალავიძე, ლ, ჩხაიძე (ვ. უგრეხელიძე, 85), ლ. ჩაგელიშვილი (გ. შენგელია, 46).

ამ გოლით მელქაძე ჩემპიონატის ბომბარდირთა შორის დაწინაურდა

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა

გოლი: 1-0 მელქაძე (74).

გააფრთხილეს: რომერო (40), ჩხაიძე (46), ოქროპირიძე (50).

მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი).

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი. 7.000 მაყურებელი

ზესტაფონი — თბილისი 1-0

ზესტაფონი: ქვაჩახია, იონანიძე, ჩიკვილაძე, შ. ლონლაძე, ს. თოდუა, გუჩუა, ნუდნი, (ბ. გოცირიძე, 58), ძამსაშვილი, განუგრავა, კ. ჩხეტიანი (ბესარაშვილი, 86), თურმანიძე.

თბილისი: გრიშიკაშვილი, ბ. ქლენტი (შ. ჯიქია, 46), მიქიაშვილი, ქემოკლიძე, გოგიტა გოგუა, ლოლაძე, ბარაბაძე (მინ ჩოი, 46), აფციაური, გ. კვარაცხელია, მ. მესხი, ს. იაშვილი.

გოლი: 1-0 თურმანიძე (3).

გააფრთხილეს: ძამსაშვილი (11), მიქიაშვილი (14), გოგუა (24), ჩიკვილაძე (56), გ. კვარაცხელია (69), გუჩუა (76).

მსაჯი: მ. მაისურაძე (თბილისი).

ქუთაისი. სტადიონი „ტორპედო“. 2000 მაყურებელი.

ტორპედო — ლოკომოტივი 0-0

ტორპედო: მერლანი, ჯ. ახალაია, მემარნიშვილი, ლ. მერებაშვილი, გამეზარდაშვილი, ბოლქვაძე, კოშკაძე, ნერგაძე, სოსელია, გ. მეგრელაძე, რ. ჯიქია.

ლოკომოტივი: გვარამაძე, ექონია, მახვილაძე, გ. ონიანი, სანიკიძე, გიგაური (ქუანი, 66), რ. ონიანი, მანჩხავა, გოგობერიშვილი, ბობოხიძე (ქებაძე, 88), სირბილაძე.

გააფრთხილეს: მერლანი (43), ბოლქვაძე (77), სანიკიძე (87).

მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

გორი. თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი. 500 მაყურებელი

დილა — დინამო (ბთ) 0-0

დილა: თ. ილურიძე, მგელაძე, დ. ხანიშვილი, დ. მაისურაძე, გ. ჩიტაია (ბ. ჩიტაია, 65), რ. ხაჭაპურიძე, ლ. გოჩაშვილი, ოლგესაშვილი (ა. ლაბაძე, 65), რევაზიშვილი (მასურაშვილი, 82), კ. ხანიშვილი, სულთანიშვილი.

დინამო (ბთ): სოლოლაშვილი, ბეგლარ თედორაძე, გალოგრე, ხუჯაძე, გ. მანწკავა (ი. მახარაძე, 46), გუშარაშვილი, ღლონტი, ცანავა, პ. ჩოხელი (გონჩაროვი, 65), დარჩიძე, ხომერიკი (ბესიკ თედორაძე, 81).

გააფრთხილეს: მაისურაძე (6), ცანავა (22), მგელაძე (83), დარჩიძე (89).

მსაჯი: ლ. სილაგავა (თბილისი).

ფოთი. სტადიონი „ფაზისი“. 200 მაყურებელი

კოლხეთი — ვიტ ჯორჯია 0-0

კოლხეთი: ბათიაშვილი, გოროზია, ცქიფურიშვილი, ჯ. შალამბერიძე, ჭითანავა, მინდაძე, აკობია, ქუტიძე, გ. თოდუა, მიკუჩაძე (ქუთათელაძე, 75), მელიქია (ვართაგავა, 63).

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, პ. დათუნაიშვილი, თ. კობიაშვილი, ინწკირველი, ქუხილავა (სახოკია, 46), ფეიქრიშვილი (ლ. კვარაცხელია, 82), დილმელაშვილი, რაზმაძე, გველესიანი, ვ. გოჩაშვილი, ჩილვინაძე (ებანოიძე, 70).

გააფრთხილეს: ქუტიძე (11), თოდუა (25), გოჩაშვილი (27), დილმელაშვილი (57), გოროზია (58).

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი).

დინამო (თბ)	19	13	3	3	41-19	42
ტორპედო	19	11	7	1	32-11	40
თბილისი	19	10	4	5	38-23	34
ვიტ ჯორჯია	19	8	5	6	30-25	29
ლოკომოტივი	19	7	8	4	26-17	29
დინამო (ბთ)	19	6	6	7	22-16	24
ზესტაფონი	19	7	1	11	17-36	22
კოლხეთი-1913	19	5	5	9	17-24	20
სიონი	19	4	2	13	15-42	14
დილა	19	2	3	14	13-38	9

ბომბარდირები

მელქაძე (დინამო თბ) — 13
მეგრელაძე (ტორპედო) — 12
ოდიკაძე (დინამო თბ) — 10
ბობოხიძე (ლოკომოტივი) — 10

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

ოთხით ზევით

ფიფა-კოკა-კოლას ტრადიციული რეიტინგი, რა თქმა უნდა, თებერვალშიც გამოქვეყნდა. ლიტვასთან ამხანაგურ მატჩში გამარჯვებამ საქართველოს ეროვნული გუნდი რეიტინგში ოთხი საფეხურით ასწია. მარტის მატჩებამდე საქართველო 102-ეა. ალბანელთა (87-ეა) შესარჩევ შეხვედრაში დამარცხებით ცხრა საფეხურით ავიდა ზევით უკრაინის ნაკრები, რომელიც ახლა 49-ეა. ხუთი ადგილით აინაცვლა ბერძნების გუნდმა (მე-13) რომელმაც დანიელებს აჯობეს. სკანდინაველები ერთი საფეხურით დაქვეითდნენ და მე-15 ადგილზე არიან.

რეიტინგის საუკეთესო ათეული კი უცვლელია.

მსაჯები შესარჩევ ტურნირზე

ჩვენებური მსაჯი ლაშა სილაგავა 26-30 მარტს გერმანიაში 17-წლამდელთა ნაკრები გუნდების ევროპის ჩემპიონატის მე-7 შესარჩევი ჯგუფის მატჩებს გაუძღვება. ქართველი არბიტრი გერმანელი, ჩეხი, ლატვიელი და ჰოლანდიელი ჭაბუკების პაექრობებს განსჯის.

სფფ-ს პრეზიდენტის პრესკონფერენცია

ხვალ, 23 თებერვალს, 16 საათზე სფფ-ს ოფისში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, მასმედიის წარმომადგენლებს პრესკონფერენციაზე მიიწვევს და წლეულს პირველად ვრცლად ილაპარაკებს სფფ-ს საქმიანობაზე, პერსპექტივაზე და ურთიერთობებზე საერთაშორისო საფეხბურთო წრეებთან.

«დინამოს» ბრაზილიური დესანტი

თბილისის „დინამოსა“ და ბრაზილიური „კორიენთიანსის“ თანამშრომლობის პირველი შედეგები რამდენიმე დღის წინ გამომზეურდა. კლუბის ბაზას ოთხი ბრაზილიელი ესტუმრა. ფიზმომზადების სპეციალისტი რიკარდო როშა, 25 წლის მეკარე ჟონატას კუენაგო, 20 წლის მცველი რენატო რიბეირო ალვეში და 23 წლის თავდამსხმელი რაფაელ სანტოს სილვა. ბრაზილიელებმა მომავალი თანაგუნდელები სტუმრობის პირველივე დღეს გაიცნეს მოედანზე. ისინი „დინამოსა“ და „სიონის“ მატჩს დაესწრნენ. ფეხბურთელები გუნდთან ერთად რამდენიმე ვარჯიშს ჩაატარებენ. მათი სათამაშო კლასი უახლოეს ხანში გამოჩნდება. „დინამოს“ მწვრთნელები პოტენციურ ახალწვეულებს ვარჯიშებზე დააკვირდებიან და მოწონების შემთხვევაში კონტრაქტებიც გაფორმდება.

ეროვნულ ჩემპიონატს გემო უკვე რამდენიმე ლეგიონერმა გაუგო. რკინიგზელთა რიგებში ითამაშა ასევე ბრაზილიელმა ჟუანმა, ცაკარიასის გუნდში გამოჩნდა კორეელი მინ ჩოი, ზესტაფონელთა ღირსებას მოლდაველი ნუდნი იცავს. „დინამოში“ მოსულ ბრაზილიელებს კი იქ თანამემამულე რომერო დახვდათ.

თქვენთვის, ფეხბურთის ერუდიტებო!



დაიბადა 1964 წელს 30 ივლისს გერმანიის ქალაქ გიოპინგენში.

საფეხბურთო კარიერა: 1972-1977: „გინგენი“, 1977-1980: „გასლინგენი“, 1980-1984: „შტუტგარტ კიკერსი“, 1984-1989: „შტუტგარტში“. 1989-1992 წლებში თამაშობდა იტალიის „ინტერნაციონალეში“, 1992 — 1994 წლებში — „მონაკოში“, 1994-1995 წლებში — „ტოტენჰემ ჰოტსპურში“, 1995 — 1997-ში კვლავ მიუნხენის „ბაიერშია“, 1997 წლის დასაწყისში გადავიდა იტალიის „სამპდორიაში“. დეკემბრიდან, 1997-1998 თამაშობდა „ტოტენჰემ ჰოტსპურტში“.

საფეხბურთო მიღწევები: არის 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ევროპის 1996 წლის ჩემპიონი, 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი. 1991 და 1996 წლებში უეფას თასის მფლობელი, გერმანიის 1997 წლის ჩემპიონია, ხოლო 1988 წელს ამ ქვეყნის ბომბარდირი — 19 გოლი. ამჟამად დანიშნულია გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად. ვინაა იგი?

„ლელოს“ №12-ში გამოქვეყნებული შეკითხვის პასუხი: სურათზეა გამოჩენილი ბრაზილიელი ფეხბურთელი და შემდგომში მწვრთნელი არტურ ანტუნეს კოიმბრა (ზიკო).

გოგობერიშვილი ბაქოშია

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „ლოკომოტივის“ ფეხბურთელმა როგორც იქნა სეზონის ბოლომდე ნავსაყუდელი იპოვა. ალექსანდრე გოგობერიშვილმა სამთვიანი კონტრაქტი გააფორმა აზერბაიჯანის დედაქალაქის ერთ-ერთ მოწინავე გუნდთან „ბაკისთან“.

„ზესტაფონის“ სოლიდური განაცხადი



მას შემდეგ, რაც ფეხბურთში დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალში ზესტაფონელებმა ბათუმში ადგილობრივ „დინამოსთან“ ფრედ 0-0 დაასრულეს მატჩი, სოლიდური განაცხადი გააკეთეს ნახევარფინალში გასასვლელად. განმეორებითი მატჩი ზესტაფონში 8 მარტსაა დაგეგმილი.

რატომ არ თამაშობენ წარმატებით ინგლისური კლუბები ევროპაში

ლონდონის „ჩელსის“ მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ ჩამოთვალა მიზეზები, რის გამოც ინგლისური საფეხბურთო კლუბები არცთუ დიდი წარმატებით ასპარეზობენ ჩემპიონთა ლიგაში. აი, რა თქვა აბრამოვიჩის გუნდის თავკაცმა „ბარსელონასთან“ მატჩის წინ: „ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გადატვირთული კალენდარია. ასეთ პირობებში ძნელია ტიტულის მოგება. შეიძლება კარგად მომზადებული გუნდი გყავდეს, მაგრამ შეცდომა დაუშვა და დატოვო ევროპის პრესტიჟული ტურნირი, მიუხედავად იმისა, რომ არ იმსახურებდით. მეორე მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ ინგლისურმა კლუბებმა ევროპაში განსხვავებულად უნდა ითამაშონ და არა ისე, როგორც ასპარეზობენ ინგლისის პრემიერლიგაში, — უნდა ითამაშონ ნაკლები ვნებათა ღელვით და მეტი ჭკუით. თუ ესპანელების ან იტალიელების წინააღმდეგ მოედანზე გამოდიხართ და თამაშობთ მხოლოდ ვნებათა ღელვით, ამ შემთხვევაში წარმატების შანსი თითქმის არ არის. დასასრულ, მესამე მიზეზი: ევროპის სხვა ქვეყნებში ზრუნავენ გუნდებზე, რომლებიც ასპარეზობენ ჩემპიონთა ლიგაში. ავიღოთ თუნდაც პორტუგალიის „პორტუ“. თუ ამ გუნდს თამაში აქვს ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგაში, მაშინ ეროვნულ ჩემპიონატზე პარასკევობით თამაშობს და ა.შ.“ მოურინიოს აზრით, პირველ რიგში, საჭიროა ინგლისის პრემიერლიგის კალენდრის ოპტიმალური ვარიანტის მიღება მომავალი სეზონისათვის.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებას გამოთქვამს ვეტერანი მსაჯის
დავით გაბნიძის
გარდაცვალების გამო.

ფეხბურთის „ვარსკვლავთა" კეთილშობილური ჟესტები

ზუსტად არავინ უწყის ვინ, სად, როდის და რომელ ქვეყანაში გამოიჩინა თავი პირველად სპორტში კეთილშობილური ჟესტით. მაგრამ მას შემდეგ, რაც ფეხბურთმა მისი ესთეტიკური სანახაობით დაჩრდილა სპორტის სხვა სახეობები, ბუნებრივია, დღის წესრიგში ეს საკითხიც დადგა. ფეხბურთი, ალბათ, ჯიხვთა ჭიდილს ან კორიდას დაემსგავსებოდა და მილიონთა შორის ვერ მოიპოვებდა იმ სუპერპოპულარობას, რაც მას დღესდღეობით აქვს. ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტის მოტანა შეიძლება. ზოგიერთ მათგანს, და საკმაოდაც გახმაურებულს, მინდა შევთავაზო ფეხბურთის მოყვარულებს. დავიწყოთ ჩვენი სასიქადულო „ფეხბურთის კარუზოდ" წოდებულ ბორის პაიჭაძით. ბორის პაიჭაძე პოპულარული გახლდათ არა მარტო საქართველოში, არამედ, მის ფარგლებს გარეთაც. მაგალითად, საფეხბურთო კარიერის დამთავრებიდან 10 წლის შემდეგაც ოდესაში ბორის პაიჭაძე კარგად ახსოვდათ. შევჩენკოს სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში იყო ერთი ბჭობა და ბაასი იმაზე, ვინ უფრო ძლიერი იყო — პაიჭაძე თუ ფედოტოვი, პაიჭაძე თუ ბობროვი, პაიჭაძე თუ სტრელცოვი და ძალიან ხშირად ფეხბურთის ოდესელი მოყვარულები სწორედ ფეხბურთის ქართველ დიდოსტატს ანიჭებდნენ უპირატესობას. ამ ფაქტის დასადასტურებლად მოჰყავდათ ნაწყვეტები ცნობილი უკრაინელი მეკარის ოლეგ მაკაროვის ავტობიოგრაფიული წიგნიდან „მეკარე". თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი მატჩის დროს ოდესის „პიშჩევიკთან" („ჩერნომორეცის" წინამორბედი გუნდი) მასპინძლებს კარში სრულიად ნორჩი მეკარე ანატოლი ზუბრიცკი დაუყენებიათ, რასაც ადგილობრივი ფეხბურთის მოყვარულთა დიდი გულისწყრომა გამოუწვევია. შიშობდნენ, რომ გამოცდილი პაიჭაძე მას ალგვიდა მიწისაგან პირისა. მატჩის დასაწყისში მართლაც ასე მომხდარა. მიუღია თუ არა ბურთი ბორისს, იმწამსვე გასხლტომია რამდენიმე მცველს და ბურთიც ყოველგვარი ძალდატანების გარეშე გაუტანია. მაგრამ ოდესელთა მეკარე არ შემდრკალა, რამდენიმე ძნელი ბურთი აუღია ამის შემდეგ. მასპინძლებს თამაშში გარდატეხაც მოუხერხებიათ და ყველასათვის მოულოდნელად დაწინაურებულან კიდეც — 3-2. თბილისელები მხოლოდ ამის შემდეგ მოეგნენ გონს, რამდენიმე მწვავე შეტევაც განახორციელეს, თითქოს მომწიფდა კიდევაც ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა. ბორის პაიჭაძე ჩვეული დრიბლინგით მიუახლოვდა მეტოქის კარს, და ის-ის იყო ბურთს კარში დასარტყმელად ფეხი მოუქნია, თავგანწირულ ნახტომში ტოლია ზუბრიცკი ჩაუვარდა ფეხებში და აშკარა გოლისგან იხსნა საკუთარი კარი. მეკარის გონზე მოყვანას დიდი დავიდარაბა დასჭირდა. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად, ზუბრიცკი კვლავ გამოჩნდა მოედანზე, თუმცა, ტკივილისგან თავს ძლივს იკავებდა. ასეთ მომენტში ბორისს ხელ-ფეხი გაეხსნა და ანგარიშის არათუ გათანაბრება, არამედ, წინ გასვლაც ჩირადაც არ უღირდა. მაგრამ, როგორც ჭეშმარიტ რაინდს სჩვევია, იგი საფეხბურთო ტრიუკთა დემონსტრირებას კი ახდენდა, მაგრამ მეკარის მიმართულებით ან განზრახ არ ურტყამდა, ან დიდი მანძილით აცილებდა ბურთს მასპინძელთა კარს. ეს შეხვედრა თბილისის დინამოელებმა დათმეს 2-3, მაგრამ მატჩს ჰყავდა გამორჩეული გამარჯვებული — ბორის პაიჭაძე, ფეხბურთის ნამდვილი რაინდი. მეორე ფაქტი, რომელიც ფეხბურთელის კეთილშობილებაზე ნათლად მეტყველებს, მსოფლიოს 1962 წლის ჩილეს ჩემპიონატზე მოხდა საბჭოთა კავშირისა და ურუგვაის ფეხბურთელთა მატჩის დროს. იგორ ჩისლენკოს მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ძელსა და ბადეს შორის გაძვრა და მსაჯმაც ცენტრისკენ მიუთითა. საბჭოთა ნაკრების კაპიტანი ამ დროს იგორ ნეტო იყო. ურუგვაელთა სამართლიან მტკიცებას, რომ გოლი არ გასულა, მსაჯმა ყური არ ათხოვა, არადა, ზემოაღნიშნული გოლი წყვეტდა ფაქტობრივად მატჩის ბედს. სწორედ ამ მომენტში უხმო თავისთან იგორ ნეტომ სეხნიას — იგორ ჩისლენკოს და ჰკითხა „გოლი იყო თუ არაო", „არ ყოფილაო" — უპასუხა ჩისლენკომ.

იგორ ნეტომ მსაჯი დაარწმუნა, რომ გოლი მართლა არ გასულა. ეს კეთილშობილური ჟესტი დაწვრილებითაა აღწერილი „ლელოს" ბიბლიოთეკით 1966 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" მიერ დასტამბულ იგორ ნეტოს წიგნში — „ეს ფეხბურთია".

ახლა ჯერი ედუარდ სტრელცოვზეა. მოსკოვში გამოცემულ თავის წიგნში — „ფეხბურთი მთელი ცხოვრების მანძილზე", ავტორი ვიქტორ შუსტიკოვი ეპითეტებს არ იშურებს ედუარდ სტრელცოვის შესამკობად. აღნიშნავს, რომ ედუარდ სტრელცოვის ყოფნა განაპირობებდა კოლექტივში ჯანსაღ კლიმატს, რომ არაფერი ვთქვათ მის ფანტასტიკურ ოსტატობაზე. თავის დროზე ედუარდ სტრელცოვის თამაშით მოხიბლული იტალიური პრესა აღნიშნავდა, რომ მასთან ახლოსაც ვერ მოვლენ იტალიური ფეხბურთის ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან მაცოლა, კორსო და ჟაირი. 19 წლის ედუარდ სტრელცოვს მელბურნში ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსვლის შემდეგ სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა, ხოლო ოლიმპიური ოქროს მედალი, მან დელიკატურად ნიკიტა სიმონიანს დაუთმო, ესეც ხომ კეთილშობილების აპოგეაა. ედუარდ სტრელცოვს არ უყვარდა მეტოქის დამცირება და მოედანზე თუ მისი გუნდი 5 ბურთს გაიტანდა, ბრძოლის ჟინს კარგავდა და ძირითადად მაყურებლის როლში გამოდიოდა, რასაც თურმე მეუღლეც კი საყვედურობდა. ედუარდ სტრელცოვს რამდენიმეჯერ თბილისშიც აქვს ნათამაშევი და ერთ-ერთი ასეთი მატჩის წინადღით, როდესაც მთელი გუნდი ავთანდილ ღოღობერიძის სანახავად წავიდა, იგი კარგა ხანს ორჭოფობდა, ვერ „გაებედა" წასვლა... თურმე ავთანდილ ღოღობერიძე არ უნდოდა ენახა სარეცელს მიჯაჭვული და უთქვამს: „უკეთესია გოგა დარჩეს ჩემს მეხსიერებაში ისეთად, როგორიც მე მინახავსო". ჩვენგან განსხვავებით, როდესაც არა და არ დაადგა საშველი „ლოკომოტივის" სტადიონს მიენიჭოს მიშა მესხის ან ორივეს, მიშა მესხისა და სლავა მეტრეველის სახელი ერთად, მოსკოვის „ტორპედოს" სტადიონი ედუარდ სტრელცოვის სახელობის გახდა და ამ დიდ ფეხბურთელს ბრინჯაოს ძეგლიც კი დაუდგეს.

ბ. პაიჭაძეს გააქვს გოლი ლ. იაშინის კარში

სლავა მეტრეველის სახელი (სამწუხაროდ, ჩვენგან განსხვავებით) სოჭელებმა უკვდავყვეს და ქალაქის ცენტრალურ სტადიონს მიანიჭეს ქართველი ფეხბურთელის სახელი. სწორედ ამაზეა ნათქვამი: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო".

რამდენიმე შტრიხი ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელის გარინჩას პიროვნებაზე. როგორც იგორ ფესუნენკო თავის წიგნში „პელე — გარინჩა, ფეხბურთი"... იგონებს, ბრაზილიის ერთ-ერთ კალენდარულ მატჩში გარინჩას მეტოქე ფეხებში ჩაუვარდა და ტრავმა მიიღო. მიწაზე გაშხლართული მცველი ტკივილისგან იგრიხებოდა... ეს გარინჩას შეუმჩნევია თუ არა, ბრძოლა შეუწყვეტია და ბურთი აუტში გადაუგდია... ამის შემდეგ ბრაზილიაში წესად იქცა — თუ მეტოქე ბურთისთვის ბრძოლაში ტრავმას მიიღებდა, მოიერიშე ფორვარდი უსიტყვოდ აგზავნიდა ბურთს აუტში. მერე ეს აიტაცა მთელმა საფეხბურთო სამყარომ და ფეხბურთის დაუწერელ კანონადაც კი იქცა. გარინჩას კეთილშობილებასა და ქველმოქმედებაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტიც, რომ მას არაერთხელ დაუფარავს ნაცნობ-უცნობების წვრილი ვალები ბარმენებისათვის.

დასასრულ, ისევ საქართველოში გადმოვინაცვლოთ, 90-იან წლებში, ე.ი. გაგრის დაცემამდე რამდენიმე ხნით ადრე, ლესელიძის სპორტულ ბაზაზე საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებოდა შვეციის ცნობილი საფეხბურთო კლუბი „გეტებორგი". საწვრთნელ მატჩებში მათ ხშირად უწევდათ თბილისის „დინამოს" სხვადასხვა შემადგენლობასთან პაექრობა. ერთ-ერთ ასეთ მატჩში, რომელსაც ადგილობრივი არბიტრი უძღვებოდა, შვედ ფეხბურთელთა კარში აშკარად არასამართლიანი 11-მეტრიანი საჯარიმო დაინიშნა. ბურთთან გია გურული მივიდა და პროტესტის ნიშნად ბურთი კარს განზრახ ააცილა. მატჩის შემდეგ მსაჯი თავს იმართლებდა, არ ვიცი, რა მომივიდა, რისთვის დავნიშნე პენალტიო.

დემურ ტორაძე.

ქართული ფეხბურთის პათოლოგიის დიაგნოზი

თვალსაზრისი

საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მეტი გოლი ოლეგ ბლოხინს აქვს გატანილი — 227! ამ შედეგით იგი ბევრად უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ, ნიკიტა სიმონიანს (179 გოლი). მაინც, რა ჰქონდა ისეთი ოლეგ ბლოხინს, ასეთი სიმაღლეები რომ დაიპყრო? თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრი არაფერი — მხოლოდ „კოსმოსური სისწრაფე". ოლეგს, გოლები ძირითადად, სწორედ სისწრაფის ხარჯზე გაჰქონდა, თამაში კი მხოლოდ ბოლო წლებში ისწავლა. ასაკის მატებასთან ერთად მოუკლო თუ არა სისწრაფეს, თანდათან დაუქვეითდა მარგი ქმედების კოეფიციენტი. აი, რას ნიშნავს სისწრაფე. დაახლოებით ამავე ყაიდის თავდამსხმელები იყვნენ კიეველი ბელანოვი და პოლონელი ლიუბანსკი. ბელანოვმა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება მოიპოვა, ხოლო ლიუბანსკი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო და ყოველივე ამას მათ მიაღწიეს ძირითადი კოზირის — სისწრაფის ხარჯზე.

შეიძლება ხელი ჩავიქნიოთ და ვთქვათ ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც სიმაღლე, კაცის მოტყუება, გოლის ალღო, თავით თამაში და სისწრაფე აქვთ, ვან ბასტენი და ბატისტუტა იყვნენო. რა თქმა უნდა, ძნელია პატარა საქართველოში ისეთი თავდამსხმელების გამონახვა, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებენ, მაგრამ ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ ვიცოდეთ ორიენტირი, თანაც ახალგაზრდა თავდამსხმელებმა ერთი წუთითაც არ დაუშვან თვითკმაყოფილება და ყოველდღე უნდა იზრდებოდნენ სწორედ ასეთი საბოლოო სახის მისაღწევად.

თავდამსხმელის შეფასების უმთავრესი კრიტერიუმი აგრესიულობაა. მას დაძაბულობაში უნდა ჰყავდეს მეტოქის დაცვა. თუმცა, ისიც მინახია, მცველი რომ აქეთ გადმოდის შეტევაზე. თუ ასე ხდება, ეს სწორედ მისი სამეურვეო თავდამსხმელის უნიათო თამაშის შედეგია.

ძოძუაშვილი და კალცი მარჯვენა მცველები იყვნენ, მაგრამ თამაშებს იგებდნენ. ძოძუაშვილის ჩაკეტვა ყველა გუნდისთვის პრობლემად იყო ქცეული, ხოლო თბილისის „დინამო" რომ „ჰამბურგთან" დამარცხდა, ამაში მთავარი „დამნაშავე" სწორედ კალცი იყო.

დღეს, განაპირა მცველებისადმი სწორედ ასეთი თამაშის პირობებია წაყენებული. მაგრამ ამასთანავე მიმაჩნია, რომ მათ პირველ რიგში, თავიანთი ძირითადი ფუნქცია უნდა შეასრულონ. ეცოდინება რა მეტოქის მცველის ამგვარი აგრესიულობის ამბავი, ჭკვიანმა მცველმა ისეთი სათამაშო ტაქტიკა უნდა შეიმუშაოს, რომ გრძელ პასებზე აგებული კონტრიერიშებით მაქსიმალურად გამოიყენოს სიცარიელე მოწინააღმდეგის დაცვაში. იტალიის „მილანის" გარე მცველები კაფუ და პანკარო სწორედ ასე, აგრესიულად თამაშობენ. ისინი ტოვებენ „პოსტებს" და ხშირად იმყოფებიან მეტოქის საჯარიმოს სიახლოვეს. ეს ერთგვარ ვაბანკს მაგონებს. ამ მხრივ, მე კახი კალაძის თამაში უფრო მომწონს. მართალია, ისიც ერთვება ხოლმე თავდასხმაში, მაგრამ უფრო ზომიერად, უკან ცქერით.

ასეთ მცველს მეურვე თავდამსხმელი არ უნდა გაჰყვეს და დარჩეს წინ წასული მცველის სამოქმედო არეალში, ხოლო მცველის შესაჩერებლად მოედნის სხვა უბნიდან უნდა მოხდეს „მაშველი ძალის" გამოძახება.

ხშირად მოგვისმენია ტელეგადაცემებისას აღფრთოვანებული დიქტორი თუ როგორ აქებს თავდამსხმელს, რომელიც ხშირად ჩადის უკან და დაცვას ეხმარება. ასეთ დროს მისი მეურვე მცველიც მიჰყვება მას და მოწინააღმდეგის სიჭარბე იქმნება საჯარიმოში.

სამწუხაროდ, ხშირად ასე ირჯება მოსკოვის „ლოკომოტივის" თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია. ასეთი თამაშით იგი ვეღარ ასრულებს თავის ძირითად მოვალეობას და მატჩის შემდეგ მწვრთნელი მის თამაშს აფასებს როგორც არააგრესიულს. იგივე ითქმის შოთა არველაძის თამაშზეც 2004 წელს „გლაზგო რეინჯერსში". იმდენი ირბინა უკან, დაეხმარა დაცვას, რომ მწვრთნელმა იგი ნახევარდაცვაში განაწესა. ამგვარად მოთამაშე თავდამსხმელი უზარმაზარ ენერგიას ხარჯავს წინ და უკან სირბილში და როცა იგი წინ მიიღებს ბურთს, არაქათგამოცლილს შეტევის თავი აღარ ექნება.

ერთი სიტყვით, თავდამსხმელი უნდა იყოს აგრესიული, მუდმივად შემართული მეტოქის კარისკენ. მისი უკან, მცველებზე მიხმარება უნდა მოხდეს ძალიან იშვიათად, განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ჭკვიანმა თავდამსხმელმა ისე შეიძლება მთელი მატჩის განმავლობაში გაანაწილოს ძალა და ენერგია, რომ თამაშის ბოლომდე მხნედ იყოს. მან უნდა იცოდეს როგორ, სად და როდის დაისვენოს. რა თქმა უნდა, ეს იმ დროს უნდა მოხდეს, როცა მისი გუნდი უტევს. პირიქით, როცა მოწინააღმდეგე მის ნახევარზეა გადმოსული, სულის მოსათქმელად ისეთი ადგილი უნდა შეარჩიოს, რომ მეტოქის თუნდაც ერთი მცველი ჰყავდეს დაბმული.

ასეთი იყო შოთა იამანიძე

კიდევ ერთი რამ მინდა აღვნიშნო თავდამსხმელების თაობაზე. ხელთ მიპყრია დ. ლოლაძის წიგნი „შოთა იამანიძე". ერთ-ერთ ფოტოზე აღბეჭდილნი არიან შესვენებისას, გასახდელში მყოფი ტანს ზემოთ გახდილი გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე და ილია დათუნაშვილი, რომლებიც ყურადღებით უსმენენ მწვრთნელს. ამ და სხვა ფოტოებიდან, კარგად ჩანს, თუ ფიზიკურად რა კარგად იყვნენ განვითარებულნი დინამოელი ფეხბურთელები ტანს ქვემოთ, რაც, უდავოდ საფეხბურთო ვარჯიშების შედეგია. მაგრამ ტანს ზემოთ, საოცრად სუსტად ყოფილან განვითარებულნი. ამ ფოტოს მიხედვით ილია დათუნაშვილზე, თუ კაცი არ იცნობს ვისზეა ლაპარაკი, ვერც კი მიხვდება, თუ იგი სპორტსმენია.

უწინ, ძალიან ნაკლები ყურადღება ეთმობოდა ტანის ზედა ნაწილის განვითარების საქმეს, რადგან ითვლებოდა, რომ „ფეხბურთს, ფეხებით თამაშობენ" (გამონაკლისი იყვნენ მესხი და მეტრეველი. მოგეხსენებათ, მიშა ჭიდაობიდან მოვიდა, ხოლო სლავა დაუჯერებელი წონის შტანგას სწევდა). ფიზიკური ვარჯიშებისადმი ამგვარ მიდგომასა და შესაბამისად ტანის აღნაგობას, თანამედროვე ფეხბურთი ვეღარ აიტანს. უბრალოდ, დღეს ვეღარ შეხვდებით ასეთი აღნაგობის ძლიერ ფეხბურთელს. გავიხსენოთ კოლუმბიელი ასპრილია, ინგლისელი შირერი, ჩილელი სალასი, თუნდაც ვიერი, რუმენიგე, რონალდო, ადრიანო და თვით პელე და მარადონა. თანამედროვე ფეხბურთში უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა ჯანს, რაც ადრე პირველხარისხოვნად არ ითვლებოდა.

ამიტომ საჭიროა მწვრთნელებმა ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს. ჯანიანი ფეხბურთელი არ გაურბის ფიზიკურ ორთაბრძოლებს, პირიქით, რაც მეტი ღონე აქვს, მით მეტად მიისწრაფვის ტარანისა და ძალისმიერი თამაშისაკენ. აქ უნდა გავიხსენო 80-იანი წლების ამომავალი ვარსკვლავი ნუკრი კაკილაშვილი, რომელიც ვერ აღზევდა იმ დონემდე, რასაც ყველა მოველოდით მისგან. ესეც ჩვენი დაუდევრობისა და არაპროფესიონალიზმის ბრალია. ბავშვობაში სწორედ სუსტი ჯანის, ჯანმრთელობისა და ფიზიკური მონაცემების პატრონი იყო შემდგომში ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი ზიკო. მაგრამ შეამჩნიეს რა სპეციალისტებმა ბავშვში დიდი ტექნიკა და თამაშის მაღალი კლასი, მისი პატრონობა და განვითარება სახელმწიფო დონეზე იქნა აყვანილი! ცნობილმა მწვრთნელებმა და სპეციალისტებმა შეადგინეს სპეციალური პროგრამა, რომელშიც შედიოდა ინდივიდუალური ვარჯიშები, მკურნალობა, კვება, დასვენება და ა.შ. და შედეგიც მიღებული იქნა — რამდენიმე წელიწადში ზიკო იქცა ნორმალური ფიზიკური მონაცემების, შემდეგ კი ბრაზილიის ნაკრების ლიდერად და ხალხის საყვარელ კერპად. აი, რა შედეგი მოსდევს საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით, სიყვარულით, შემოქმედებით და პროფესიულ მიდგომას. ჩვენში კი, ყველას გვახსოვს, ნუკრი კაკილაშვილთან ერთად როგორ დაიკარგნენ უდიდესი მონაცემების მქონე ვაჟა არქანია, გრიგორი ცავა და სხვები.

თუ დღევანდელი ფეხბურთელი მყარად არ დგას ფეხებზე, თუ არ აქვს ძლიერი მუხლი, არ აქვს ჯანი (რის გამოც სუსტი იქნება მხრის ჩადგმაში), არ აქვს გამძლეობა, თუ ვერ შეძლებს თანაბარი სისწრაფით გაირბინოს ბურთით 30-40 მეტრი, ფეხბურთში ბევრს ვერაფერს მიაღწევს. ყოველივე ამის დაუფლება კი შეიძლება დიდი შრომით, ბეჯითი, რაციონალური და სწორი მუშაობით.

გუნდი სიმფონიურ ორკესტრს შეიძლება შევადაროთ, მწვრთნელი — დირიჟორს, ხოლო კონცერტი კი თამაშს. როგორც ორკესტრი იქმნება ინსტრუმენტებისაგან და კონცერტი — მათი პარტიებისა და იმპროვიზაციებისაგან, ასევეა ფეხბურთის გუნდის თამაშიც. იგი იქმნება ფეხბურთელების მოქმედებით, და რაც უფრო მაღალ დონეზე არიან ისინი დაუფლებულნი თავ-თავიანთ „პარტიებს", „კონცერტიც" მით მაღალი დონისა გამოვა. ასეთი კონცერტების წარმატებულად შესრულებისათვის მნიშვნელოვანია შემსრულებლები მთავარ ინსტრუმენტებთან (პირველი ვიოლინო, მეორე ვიოლინო, ალტები და ვიოლონჩელოები) ერთად, თუ როგორ დონეზე არიან შეხმატკბილებულნი და როგორ ეხმარებიან მათ არამთავარი — დასარტყმელი ინსტურმენტები.

ეს მაგალითი იმიტომ მოვიყვანე, რომ შედეგისათვის არცთუ უმნიშვნელო ადგილი უკავია ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა კუთხური, საჯარიმო დარტყმა, ჯარიმის სტანდარტული გათამაშება, „ხმელი ფოთოლი", აუტის მოწოდება და ა.შ.

60-იან წლებში კიევის „დინამოს" მძლავრი იარაღი მოევლინა ვ. ლობანოვსკის ჩახვეული კუთხურების სახით. იგი თანდათან ხვეწდა აღნიშნულ კუთხურებს, რომლებმაც ბოლოს, მეტოქეთათვის საგანგაშო ხასიათი მიიღეს. დატრიალებული ბურთი საჯარიმო მოედანზე ხაზავდა რკალს და ან კარის ბადეში ეხვეოდა, ან მეხივით ატყდებოდა თავს პანიკით მოცულ დაცვას.

ილია დათუნაშვილმა მიზნად დაისახა ასეთი კუთხურების ჩამოწოდების სწავლა და ყოველდღიური ვარჯიშით ოფლად იღვრებოდა მის დასაუფლებლად. ბოლოს, მართლაც შესანიშნავად ისწავლა და საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა საქმე გაუკეთა მან თავისი გარჯით ქართულ ფეხბურთს.

იგივე ითქმის აუტის მოწოდებაზეც. 1964 წელს თბილისის დინამოში ნალჩიკიდან გადმოიყვანეს ცენტრალური თავდამსხმელი ალექსანდრე აფშევი. მას მოულოდნელად აღმოაჩნდა შესანიშნავი თვისება — ბურთს აუტიდან პირდაპირ საჯარიმო მოედანში ისროდა და შეიძლება ითქვას, თუკი გუნდისთვის რაიმე სასარგებლოს აკეთებდა, პირველ რიგში, სწორედ ამას. აფშევის აუტებს კუთხურების სახე ჰქონდა მიღებული. თითქოსდა მესამეხარისხოვანია, მაგრამ ვთქვათ მეტოქის ნახევარზე, პირით ხაზთან ახლოს მოწინააღმდეგემ მოიპოვა აუტის მოწოდების უფლება. ამ თითქოსდა უმტკივნეულო სიტუაციაში ვითარებას დავძაბავთ თუ მოედნის სხვა უბნებიდან ფეხბურთელებს აქეთ გადმოვისვრით და მეტოქის ფეხბურთელებს მჭიდროდ ავიყვანთ.

ვითომ უმნიშვნელოა ეს დეტალები? განა ცუდი იქნებოდა თუ გუნდს ეყოლებოდა ამგვარი კუთხურებისა და აუტების მომწოდებლები? ეს ხომ შესამჩნევად გაზრდის გუნდის აგრესიულობას. ძნელია მათი დაუფლება? ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი. თუკი დათუნაშვილმა და აფშევმა შეძლეს ეს, სხვებმა რატომ ვერ უნდა შეძლონ? მთავარია, მათ მიექცეთ სათანადო ყურადღება და შემდეგ, რომ იტყვიან, შრომა და შრომა!

ომარ ჩხეიძე

(გაგრძ. იქნება, დასაწ. „ლელო" №8-12)

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ევროპის საფეხბურთო ციებ-ცხელება

„მილანი" შევჩენკოს გარეშე დარჩა ◆ ისევ „ბაიერნი" და ისევ „შალკე" ◆ „რეალი" ბასკებმა შეაჩერეს ◆ ფრანკ რაიკაარდი მაინც ფრთხილობს ◆ „ჩელსი" ინგლისის თასის გათამაშებიდან გამოაგდეს.

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

იტალიის სერია „ა"-ს 25-ე ტურში კახი კალაძის „მილანმა" ტურინის „იუვენტუსის" ჰეგემონია დაამხო. მილანელებმა საკუთარ მოედანზე უმასპინძლეს „კალიარის" და მეტოქე მინიმალური ანგარიშით — 1-0 დაამარცხეს. ეს ერთადერთი გოლი შეხვედრის უკანასკნელ წუთზე სერჟინიომ გაიტანა.

ამ მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო შევჩენკომ. უკვე მე-14 წუთზე ის „კალიარის" მცველს შეეჯახა და ყვრიმალის ძვალი გაუტყდა. ამის გამო, „მილანს" უკრაინელი ფორვარდის გარეშე მოუწევს თამაში ჩემპიონთა ლიგაზე. „კალიარისთან" არ უთამაშია კახი კალაძეს.

„მილანის" შემადგენლობა ასეთი იყო: დიდა, კაფუ, მალდინი, სტამი, პანკარო, ბროკი (სერჟინიო, 58), ზეედორფი, პირლო, რუი კოშტა, ტომასონი (კაკა,72), შევჩენკო (კრესპო, 14).

ამ გამარჯვების შედეგად „მილანი" ქულათა რაოდენობით (54) გაუთანაბრდა ტურინის „იუვენტუსს". „ბებერმა ქალბატონმა" სტუმრად ვერ მოახერხა „მესინას" დამარცხება — 0-0.

„იუვენტუსი": ბუფონი, ძებინა (სალაიეტა, 62), ტიურამი, მონტერო (ფერარა, 76), კანავარო, ძამბროტა, ამორანეზი, ემერსონი, ბლაზი (ტაკინარდი, 89), დელ პიერო, იბრაჰიმოვიჩი.

„ინტერმა" რიგით მე-16 ფრე ითამაშა, ამჯერად — სტუმრად „უდინეზესთან" (1-1). მილანელები ვერონის გოლით 59-ე წუთზე დაწინაურდნენ, თუმცა, მინიმალური უპირატესობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს. უკანასკნელ წუთზე გოიტომმა წონასწორობა აღადგინა. „ინტერი", რომელსაც ჯერ დამარცხება არ განუცდია, 42 ქულით მესამე ადგილზეა.

„ინტერის" შემადგენლობა: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მიხაილოვიჩი, ფავალი, ვერონი (ზე მარია, 88), გონსალესი (დევიდსი, 67), კამბიასი, სტანკოვიჩი, ადრიანო, ვიერი (რეკობა, 61).

სხვა მატჩები: „რომა" — „ლივორნო" 3-0, „სამპდორია" — „რეჯინა" 3-2, „კიევო" — „ლაციო" 0-1, „პარმა" — „ბრეშა" 2-1, „პალერმო" — „ლეჩე" 3-2, „ატალანტა" — „ბოლონია" 2-0, „სიენა" — „ფიორენტინა" 1-0.

მომდევნო ტური: „კალიარი" — „ატალანტე", „რეჯინა" — „კიევო", „ბოლონია" — „ლივორნო", „ლეჩე" — „მესინა", „ინტერი" — „მილანი", „ლაციო" — „პარმა", „პალერმო" — „რომა", „ბრეშა" — „სამპდორია", „იუვენტუსი" — „მესინა", „ფიორენტინა" — „უდინეზე".

გერმანიის ბუნდესლიგის 22-ე ტურში ლევან კობიაშვილის „შალკემ" სტუმრად 3-1 დაამარცხა „მიონხენგლადბახი". არადა, თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ ბიომეს თერთმეტმეტრიანის წყალობით. ამის შემდეგ „შალკეს" ფორვარდმა აილტონმა გაიბრწყინა. მან „ჰეთ-თრიკი" შეასრულა.

შალკე: როსტი, პანდერი, როდრიგესი, კრსტაიჩი, ჰოოგლანდი, კობიაშვილი, ვერმანტი (ლინკოლნი, 68), პოულსენი, აილტონი, (ალთინთოფი, 90), სანდი (ჰანკე, 68), ასამოა.

მიუნხენის „ბაიერნმა" საკუთარ მოედანზე გაანადგურა „დორტმუნდი". მიუნხენელებმა ახლო წარსულში გერმანიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის კარში ხუთი უპასუხო გოლი გაიტანეს (5-0). მაკაიმ სამჯერ გამოიჩინა თავი. თითოჯერ მეტოქის კარი სალიჰამიჯიჩმა და პისარომ აიღეს.

„ბაიერნი": კანი, სანიოლი, რ. კოვაჩი, ლუსიო (ფრინგსი, 69), ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი (დაისლერი, 46), დემიკელისი, შოლი (შვაინშტაიგერი, 63), ზე რობერტო, მაკაი, პისარო. „ბაიერნსა" და „შალკეს" 44-44 ქულა აქვთ და პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ.

საქმე იქითკენ მიდის, რომ ხიზანეიშვილის, ცქიტიშვილისა და იაშვილის „ფრაიბურგი" ბუნდესლიგიდან უნდა გავარდეს. ამ გუნდმა ვერ მოახერხა ქულის აღებაც კი „ბოხუმთან" — 1-3.

„ფრაიბურგი": გოლცი, რიტერი (აოგო, 58), შუმანი, ხიზანეიშვილი, მოჰამადი, კრუპკე, კაირო (რაინჰარდი, 71), კულიბალი, ცქიტიშვილი, დორნი, ანტარი (ტანკო, 58). „ფრაიბურგს" 16 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზეა.

სხვა მატჩები: „ჰამბურგი" — „კაიზერსლაუტერნი" 2-1, „მაინცი" — „არმინია" 0-0, „ნიურნბერგი" — „ლევერკუზენი" 2-4, „ვოლფსბურგი" — „ჰანზა" 4-0, „ჰანოვერი" — „ვერდერი" 1-4, „შტუტგარტი" — „ჰერტა" 1-0.

მომდევნო ტურში, 26-27 თებერვალს ერთმანეთს შეხვდებიან: „დორტმუნდი" — „მაინცი", „ფრაიბურგი" — „ბაიერნი", „ვერდერი" — „ბოხუმი", „შალკე" — „ჰანოვერი", „ჰანზა" — „მიონხენგლადბახი", „კაიზერსლაუტერნი" — „ვოლფსბურგი", „ჰერტა" ტერნი" — „ვოლფსბურგი", „ჰერტა" — „ჰამბურგი", „ლევერკუზენი" — „შტუტგარტი", „არმინია" — „ნიურნბერგი".

ესპანეთის პრიმერადივიზიონის 24-ე ტურში სენსაციური მარცხი იწვნია მადრიდის „რეალმა", რომელმაც საკუთარ მოედანზე ვერაფერი გააწყო „ბილბაოსთან" — 0-2. ანგარიში 57-ე წუთზე დელ ორნომ გახსნა, 73-ე წუთზე კი ირაოლამ მეორედ აიღო მასპინძელთა კარი.

მადრიდის „რეალი": კასილიასი, სალგადო, ელგერა, სამუელი, რაულ ბრავო (რაული, 66), ბექჰემი, გრავესენი, ფიგუ (ზიდანი, 56), სოლარი, გუტი, ოუენი (რონალდო, 66).

„სამეფო კლუბის" წაფორხილებით ისარგებლა „ბარსელონამ", რომელმაც 2-0 მოუგო „მალიორკას" და კვლავ 7 ქულამდე გაზარდა სხვაობა მეორე ადგილზე მყოფ მადრიდელებთან — „ბარსელონას" 57 ქულა აქვს, „რეალს" კი — 50.

„მალიორკასთან" შეხვედრაში კატალონიელთაგან დეკუმ გამოიჩინა თავი.

„ბარსელონა": ვალდესი, ბელეტი, მარკესი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი (სილვინიო, 73), ალბერტინი, ჩავი (ინიესტა, 62), დეკუ, ჟიული (ჯერარდი, 80), რონალდინიო, ეტო,ო. მატჩის შემდეგ კატალონიელთა მწვრთნელი ფრანკ რაიკაარდი გახარებული იყო,

რომ ჯერ კიდევ წინ არის მთავარი ბრძოლები. „ვალენსიამ" კვლავ ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება. ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი სტუმრად 0-1 დამარცხდა „რასინგთან" და მეექვსე ადგილზე დაეშვა. მესამე-მეოთხე ადგილებს 41-41 ქულით „ბეტისი" და „სევილია" იყოფენ.

სხვა მატჩები: „სოსიედადი" — „სევილია" 1-0, „ბეტისი" — „დეპორტივო" 2-0, „ხეტაფე" — „ოსასუნა" 0-0, „ლევანტე" — „სარაგოსა" 0-0, „მალაგა" — „ესპანიოლი" 3-2, „ალბასეტე" — „ნუმანსია" 1-2, „ვილიარეალი" — „ატლეტიკო" 3-2.

მომდევნო ტურში, 26-27 თებერვალს ერთმანეთს შეხვდებიან: „ბილბაო" — „ხეტაფე", „დეპორტივო" — „რეალი", „ატლეტიკო" — „სოსიედადი", „ესპანიოლი" — „ალბასეტე", „ვალენსია" — „ბეტისი", „მალიორკა" — „ლევანტე", „სევილია" — „რასინგი", „სარაგოსა" — „ვილიარეალი", „ოსასუნა" — „მალაგა", „ნუმანსია" — „ბარსელონა".

საფრანგეთის ჩემპიონატის 26-ე ტურის შედეგები: „მონაკო" — „ლიონი" 1-1, „სტრასბური" — პსჟ 3-1, „ტულუზა" — „ბორდო" 0-0, „რენი" — „ნიცა" 4-1, „ლანსი" — „ნანტი" 2-0, „ბასტია" — „მარსელი" 0-1, „კაენი" — „აიაჩო" 2-2, „ისტრი" — „ოსერი" 1-0, „მეცი" — „ლილი" 1-1, „სტ. ეტიენი" — „სოშო" 1-0. სატურნირო ცხრილში 53 ქულით კვლავ „ლიონი" ლიდერობს, რომელიც 6 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს — „მარსელს".

გაიმართა ინგლისის თასის გათამაშების მორიგი რაუნდის მატჩები. „არსენალმა" ფრედ 1-1 ითამაშა „შეფილდთან", „მანჩესტერ იუნაიტედმა" სტუმრად 2-0 დაამარცხა „ევერტონი". ლონდონის „ჩელსი" კი გამოეთიშა გათამაშებას. რომან აბრამოვიჩის გუნდმა 0-1 წააგო „ნიუკასლთან". ეს ერთადერთი გოლი „ჩელსის" კარში პატრიკ კლუივერტმა გაიტანა.

კლოდ მაკელელე „ჩელსის" გიგულების [illegible]

ზაირში დაბადებული ნახევარმცველი კლოდ მაკელელე „გამარჯვებული ფსიქოლოგიის მქონე ადამიანს" განასახიერებს. 1994-1995 წლების სეზონში „ნანტის" შემადგენლობაში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. შემდეგ „მარსელისა" და ესპანური „სელტას" ღირსებას იცავდა, 2001-2002 წლების სეზონში კი მაკელელემ მადრიდის „რეალთან" ერთად ევროპის ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

31 წლის კლოდ მაკელელე აღნიშნავს, რომ ის არ კმაყოფილდება წარსულში მოპოვებული წარმატებებით და ახლა ახალი მიზნების განსახორციელებლად იბრძვის: „ყოველწლიურად საკუთარ თავს ახალ-ახალ ამოცანებს ვუყენებ. ჩემი აპეტიტი იზრდება",

ეს ფეხბურთელი უკვე ოთხი წელია ლონდონის „ჩელსის" ღირსებას იცავს. აბრამოვიჩის გუნდი, როგორც ცნობილია, ერთბაშად ოთხ ტურნირში იბრძვის უმაღლესი ტიტულების მოსაპოვებლად — ინგლისის ჩემპიონატში, ქვეყნის თასისა და ლიგის თასის გათამაშებებში, აგრეთვე, ევროპის ჩემპიონთა ლიგაში. კლოდ მაკელელე დარწმუნებულია, რომ მიმდინარე წელი გამარჯვებების მხრივ დიდად მოსავლიანი იქნება.



„ფეხბურთი ჩემი მისწრაფებაა, ჩემი სამუშაო და ცხოვრება. მთელი არსებით სპორტის ამ სახეობასთან ვარ დაკავშირებული. ის კი არა, როცა მძინავს, „საფეხბურთო" სიზმრებს ვნახულობ. როცა მეუღლესთან და ბავშვებთან ერთად დროს ვატარებ, მაშინაც მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობ," — ეს სიტყვები კლოდ მაკელელეს ეკუთვნის.

მაკელელე ლონდონის „ჩელსის" წამყვანი მოთამაშეა. მან შეავსო გუნდში ის ცარიელი ადგილი, ფრანგული ფეხბურთის ვარსკვლავის მარსელ დესაის წასვლის შემდეგ რომ გაჩნდა. მასზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ევროპის ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ მატჩში „ბარსელონასთან". ამ ტურნირს თავად ფეხბურთელი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

„ადრე, ევროპაში იყო ოთხი-ხუთი უძლიერესი გუნდი, რომლებიც რეგულარულად გადიოდნენ ევროპის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე და შემდეგ ერთმანეთთან შეხვედრებით არკვევდნენ თასის მფლობელის ვინაობას. ბოლო პერიოდში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ბევრი გუნდი გაძლიერდა და ტურნირიც უფრო საინტერესო გახდა", — ამბობს კლოდ მაკელელე.

ნახევარმცველი სიამოვნებით იხსენებს 2001-2002 წლების სეზონს, როცა მადრიდის „რეალის" ღირსებას იცავდა. იმ წელს „სამეფო კლუბმა" ჩემპიონთა ლიგა მოიგო — ფინალში „ლევერკუზენს" მოუგო.

„როცა გერმანული კლუბის წინააღმდეგ სათამაშოდ გავდიოდით გლაზგოს სტადიონის გაზონზე, დავინახე მთავარი ჯილდო — თასი. მე და ზინედინ ზიდანმა ერთმანეთს გადავხედეთ და გადავულაპარაკეთ: ეს ჩვენთვის არის! დიახ, ჩვენ საკუთარ ძალებში ღრმად ვიყავით დარწმუნებულნი. ეს გრძნობა თავიდანვე დაგვეუფლა. ვერც კი წარმოგვედგინა, რომ მთავარ ჯილდოს ლევერკუზენელები მიიღებდნენ", — თქვა მაკელელემ. მისი აზრით, დღეს „ჩელსიში" არის სწორედ ისეთი ატმოსფერო, როგორიც ოთხი წლის წინ მადრიდის „რეალში" იყო გამეფებული.

„დარწმუნებული ვარ, რომ წელს „ჩელსი" რომელიმე ტიტულს მოიგებს. იქნებ რაოდენობა მეტიც იყოს", — ამბობს მაკელელე.

ევროტურნირები

დღეს და ხვალ გაიმართება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩები. გაგაცნობთ მატჩების განრიგს ევროპული ტოტალიზატორის „უილიამ ჰილის" კოეფიციენტებთან ერთად.

22 თებერვალი			
ბაიერნი — არსენალი	2,20	3,10	2,87
პსვ ეინდჰოვენი — მონაკო	2,00	3,10	3,30
ლივერპული — ლევერკუზენი	1,90	3,20	3,50
რეალი — იუვენტუსი	1,90	3,20	3,50
23 თებერვალი			
ბარსელონა — ჩელსი	2,10	3,20	3,00
მანჩ. იუნაიტ. — მილანი	2,10	3,00	3,20
პორტუ — ინტერი	2,75	2,90	2,40
ვერდერი — ლიონი	2,00	3,10	3,30

24 თებერვალს უეფას თასის გათამაშების განმეორებით მეთექვსმეტედფინალური მატჩებია:

დნიპრო — პარტიზანი	2,05	3,30	3,00
შალკე — შახტარი	1,53	3,50	5,50
ალკმაარი — ალენი	1,30	4,33	8,00
სოშო — ოლიმპიაკოსი	1,80	3,10	4,00
სტიაუა — ვალენსია	3,20	3,20	2,00
აუსტრია — ბილბაო (I მატჩი)	2,75	3,10	2,30
შტუტგარტი — პარმა	1,44	3,75	6,00
ოსერი — აიაქსი	2,00	3,10	3,30
ფეიენოორდი — სპორტინგი	1,90	3,20	3,50
ნიუკასლი — ჰეერენვენი	1,33	4,00	8.00
სარაგოსა — ფენერბახჩე	1,90	3,20	3,50
ლილი — ბაზელი	1,57	3,30	5,50
მიდლსბრო — გრაცერი	1,44	3,75	6,00
ბენფიკა — ცსკა	1,72	3,40	4,00
სევილია — პანათინაიკოსი	1,57	3,30	5,50
ვილიარეალი — დინამო (კ)	1,61	3,30	5,00

ოღონდ „მილანში"... თუნდაც სათადარიგოთა სკამზე

იტალიის სერია „ა"-ს კლუბ „კიევოს" ნახევარმცველ რობერტო ბარონიოს „მილანში" გადასვლა სურს. ის მზად არის, მთელი მომავალი სეზონი სათადარიგოთა სკამზე გაატაროს, ოღონდაც მილანური საფეხბურთო გრანდის ღირსებას იცავდეს. ცნობილია, რომ ბარონიოს ანდრეა პირლოს შემცვლელად მოიაზრებენ.

„ალბასეტედან" მთავარი მწვრთნელი გააძევეს

ესპანური საფეხბურთო კლუბ „ალბასეტეს" ხელმძღვანელობამ გააძევა მთავარი მწვრთნელი ხოსე გონსალესი მას შემდეგ, რაც ამ გუნდმა კვირას მორიგი მარცხი იწვნია, ამჯერად — საკუთარ მოედანზე „ნუმანსიასთან".

ნოვოტნი და ტრეზეგე ვერ ითამაშებენ

ჩემპიონთა ლიგის მატჩში „ლივერპულის" წინააღმდეგ ვერ ითამაშებს ლევერკუზენის მცველი იენს ნოვოტნი. ამის მიზეზი მუხლის ტრავმაა. აქვე შეგახსენებთ, რომ მადრიდის „რეალთან" ვერ ითამაშებს „იუვენტუსის" თავდამსხმელი დევიდ ტრეზეგე.

ვან ნისტელროი კარიერის დასრულებას „ოლდ ტრაფორდზე" აპირებს

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელმა რუუდ ვან ნისტელროიმ განაცხადა, რომ თავისი კარიერის დასრულებას „ოლდ ტრაფორდზე" აპირებს. „მე ვერ ვხედავ მიზეზებს, რის გამოც შეიძლება დავტოვო „მანჩესტურ იუნაიტედის" რიგები. აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, — ამბობს ჰოლანდიელი ფორვარდი, — როცა ბობი ჩარლტონმა მომიყვანა ამ გუნდში, მითხრა — მოხარული ვარ, რომ შენ „მანჩესტერ იუნაიტედში" ხარ." ბობი ჩარლტონმა ეს ოთხი წლის წინ თქვა. დღემდე რუუდს „მანჩესტერ იუნაიტედის" სასარგებლოდ 122 გოლი აქვს გატანილი. გარდა ამისა, ევროპის ჩემპიონთა ლიგაში 37 მატჩი აქვს ჩატარებული და მეტოქეთა კარი 36-ჯერ აიღო. ნისტელროის უფრო მეტის მიღწევაც სურს.

„თითოეულ მატჩში ბოლომდე დავიხარჯები, მაქსიმალურად გამოვავლენ საკუთარ შესაძლებლობებს", — ამბობს რუუდ ვან ნისტელროი.

MANCHESTER UNITED
GLORY GLORY MAN UNITED

ნბა

ნბა-ს „ვარსკვლავური უიკ-ენდი"

დენვერში გაიმართა ნბა-ს „ყველა ვარსკვლავთა" მატჩი, რომელშიც ერთმანეთის პირისპირ აღმოსავლეთისა და დასავლეთ კონფერენციების ნაკრებები დაუპირისპირდნენ.

აღმოსავლეთ კონფერენციის სასტარტო ხუთეულში იყვნენ ლებრონ ჯეიმსი („კლივლენდი"), ვინს კარტერი („ნიუ ჯერსი"), შაკილ ო'ნილი („მაიამი"), გრანტ ჰილი („დეტროიტი"), ალენ აივერსონი („ფილადელფია"). სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ ჯილბერტ არენასი, ენტოინ ჯეიმისონი (ორივე — „ვაშინგტონი"), ჟიდრუნას ილგაუსკასი („კლივლენტი"), ჯერმეინ ო'ნილი („ინდიანა"), პოლ პირსი („ბოსტონი"), დუენ ვეიდი („მაიამი") და ბენ უოლესი („დეტროიტი").

დასავლეთ კონფერენციის შემადგენლობა კი ასეთი გახლდათ: სასტარტო ხუთეული — ტრეისი მაკრეიდი, იაო მინი (ორივე — „ჰიუსტონი"), კობი ბრაიანტი („ლეიკერსი"), კევინ გარნეტი („მინესოტა"), თიმ დანკანი („სან ანტონიო"). სათადარიგონი: შონ მერიონი, სტივ ნეში, ამარ სტადამაირი (ყველა — „ფინიქსი"), რეი ალენი, რაშად ლიუისი (ორივე — „სიეტლი"), ემანუილ ჯინობილი („სან ანტონიო), დირკ ნოვიცკი („დალასი").

მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერი 12-ჯერ შეიცვალა. თითოეული გუნდის უპირატესობამ ზოგიერთ მომენტში 13 ქულასაც მიაღწია. საბოლოოდ იმარჯვა აღმოსავლეთმა — 125:115.



გამარჯვებულთა რიგებში ყველაზე შედეგიანები იყვნენ ალენ აივერსონი და ჯერმეინ ო'ნილი, რომლებმაც 15-15 ქულა დააგროვეს. „დასავლეთის" შემადგენლობაში ყველაზე მეტი კი — 17 ქულა რეი ალენმა მოაგროვა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ „ფილადელფიის" მცველი ალენ აივერსონი აღიარეს, რომელმაც ზემოთ ნახსენები 15 ქულის მოპოვების გარდა, 5-ჯერ ჩაჭრა და 9 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. საინტერესოა, რომ აივერსონმა ასეთი ტიტული თავის კარიერაში მეორედ მიიღო. ადრე ეს ბედნიერება 4 წლის წინ ხვდა წილად.

აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1981 წლიდან მოყოლებული, „ყველა ვარსკვლავთა" მატჩის მონაწილეებმა 20-ზე მეტი ქულის მოგროვება ვერ მოახერხეს.

„ვარსკვლავთა უიკ-ენდის" პროგრამით კიდევ რამდენიმე კონკურსიც გაიმართა. კალათში ბურთის ზემოდან გდებაში საუკეთესო იყო ნბა-ს დებიუტანტი ჯოშ სმიტი, რომელიც ამჟამად რეგულარული ჩემპიონატის აუტსაიდერის — „ატლანტას" ღირსებას იცავს. მაყურებლები და მსაჯები მოხიბლა „დენვერის" მოთამაშის კენიონ მარტინის უცნაურმა სროლებმა.

სამი კონკურსი მოიგეს „ფინიქსის" მოთამაშეებმა: სამქულიანებში საუკეთესო იყო კვენტინ რიჩარდსონი, რომელმაც გადაუსწრო კაილ კორვერსა და შარშანდელ გამარჯვებულს — ვოშონ ლენარდს. „ტექნიკურ" კონკურსში, რომელშიაც ფასდებოდა დრიბლინგი, სისწრაფე და ბურთის კალათში ჩაგდება ქვემოდან, უძლიერესი იყო სტივ ნეში. დასასრულ, „ფინიქსის" ტრიომ ფორვარდ შონ მერიონის, დებიუტანტ დიან ტაურაზისა და ლეგენდარული დენ მაიერლეის შემადგენლობით სპეციალურ კონკურსში ყველაზე მეტი ქულები დააგროვეს.

ფედერერის ტრიუმფი როტერდამში

როტერდამში „ოქროს სერიის" საჩოგბურთო ტურნირში გაიმარჯვა როჯე ფედერერმა. მისი მეტოქე ფინალში იყო ხორვატი ივან ლუბიჩიჩი. შეხვედრა დაძაბული და საინტერესო გამოდგა. პირველ სეტში ფედერერი ბევრ შეცდომას უშვებდა, რითაც ლუბიჩიჩმა კარგად ისარგებლა — 7:5. ამის შემდეგ ფედერერმა საკუთარი თამაში იპოვა, თუმცა, ორი სეტი ძლივს მოიგო. — 7:5, 7:6. ტურნირის საპრიზო ფონდი 765 ათასი დოლარი იყო.

აქვე გაცნობებთ, რომ გუშინ ატპ-მ და ვტა-მ გამოაქვეყნეს ჩოგბურთელთა რეიტინგები მიმდინარე კვირისათვის. ვაჟთა შორის კვლავ პირველ ადგილზეა როჯე ფედერერი, რომელსაც 6050 ქულა აქვს. მეორეზეა ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი 3990 ქულით, ხოლო მესამეზე — ენდი როდიკი (აშშ) — 3855.

ქალთა შორის ლიდერობს ამერიკელი ლინდსეი დევენპორტი -- 4965 ქულა, მეორეზეა ფრანგი ამელი მორესმო — 4854, ხოლო მესამეზე — სერენა უილიამსი — 4389.

კანადელი ჰოკეისტები გინესის რეკორდების წიგნში მოხვდნენ

კანადელ ჰოკეისტთა ჯგუფმა 40 კაცის შემადგენლობით ახალი რეკორდი დაამყარა მატჩის ხანგრძლივობის მხრივ. ჰოკეის მატჩი 11 თებერვალს დაიწყო და კვირისათვის უკვე 203 საათი შესრულდა. თამაში ჰოკეისტებს წუხელ უნდა დაემთავრებინათ, (240-საათიანი თამაში ჰქონდათ დაგეგმილი), თუმცა, უკვე ნათელია, რომ ისინი გინესის რეკორდების წიგნში იქნებიან შეყვანილნი.

ამ მატჩის შემოსავალს – 250 ათას დოლარს ორგანიზატორები ონკოლოგიურ საავადმყოფოს გადაუგზავნიან.

ჯენსონ ბატონი: „ჩვენ ნებისმიერ სიძნელეებს გავუმკლავდებით"

„ფორმულა-1"-ის ახალი სეზონისათვის მონდომებით ემზადება გუნდ „ბარის" პილოტი ჯენსონ ბატონი. გთავაზობთ ნაწყვეტს პილოტის მიერ ინტერნეტ-საიტ „სპორტისათვის" მიცემულ ინტერვიუდან.

◆ ***რამდენად რთული იყო წინასასეზონო ტესტ-რბოლები?***

— რამდენიმე სერიოზული პრობლემა გვქონდა, თუმცა, დღეისათვის ყველა გადაწყვეტილია. ჩვენი ბოლიდები კონკურენტ-უნარიანია. „ჰონდას" ინჟინრები კმაყოფილნი არიან მანქანის მოტორის საიმედოობით. ჩვენ დავასრულებთ ახალი სეზონისათვის მზადებას ვალენსიაში.

◆ ***თქვენ პრობლემები ახსენეთ, ხომ არ დააკონკრეტებდით?***

— ისინი ტიპიურია სეზონთშორის პერიოდისათვის. ისე სერიოზული არაფერი იყო. ჩვენ ვერ შევძელით ოპტიმალური ბალანსის სწრაფად მიღება. პრობლემა გვქონდა ძრავის საიმედოობასთან დაკავშირებით. ეს ეტაპი გავიარეთ და ჩვენ ახლა მივემართებით საჭირო მიმართულებით.

◆ ***რას ელით ახალ სეზონში?***

— „ბარი" ძლიერი გუნდია და ნებისმიერ პრობლემას გაუმკლავდება. წინასწარი პროგნოზისაგან კი თავს შევიკავებ.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



22 თებერვალი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ქართული ფეხბურთის მიმოხილვა (15.25), საფეხბურთო მიმოხილვა (22.00). ჩემპიონთა ლიგა: „რეალი" — „იუვენტუსი" (22.45), მიმოხილვა (1.00). „მანჩესტერი" — „მილანი" (2.00). **იმედი.** პროგრამა „გოლი" (17.25). „გოლი". სერია „ა". იტალიის ჩემპიონატი (1.35). *НТВ плюс футбол.* „განვლილი კვირის ჰიტ-პარადი" (13.00, 18.00). საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (14.45), თავისუფალი დარტყმა (15.45). გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (17.00), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (20.05). ლიბერტადორესის თასის მატჩების მიმოხილვა (21.05). იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.35). ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. გერმანიის „ბავარია" — ინგლისის „არსენალი" (0.35). კალათბურთი. ნბა. ოვერტაიმი — უილტ ჩემბერლენი (3.00), ჩემპიონატის მატჩი (3.30), მიმოხილვა (6.00). 2002-2003 წ.წ. სეზონი: „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" — „ფილადელფია-76". *НТВ плюс спорт.* „ბილიარდის მეფეები" (19.30, 0.50), „სპორტული გლობუსი" (22.10), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: გერმანიის „ბავარია" — ინგლისის „არსენალი". პირდაპირი ტრანსლაცია (22.35); EUROSPORT. ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა. 16 ბოლო მატჩი (10.30, 11.00, 11.30, 16.00, 2.15). სათხილამურო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.15), ფეხბურთი. ევროგოლები (13.15). ჩოგბურთი. „ატპ"-ის ტურნირი (16.30). „ვტა"-ს ტურნირი (18.00), სათხილამურო კროსი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია (21.30). კრივი. პროფესიონალები (22.30, 23.00). ევროსპორტის ახალი ამბები (2.00, 3.15). ყველაფერი სპორტის შესახებ (2.45). **7-ტვ.** სპორტული ცეკვები (8.30, 20.30, 2.00). პროფესიული კრივი. „101 დიდი ნოკაუტი" (22.10). ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (12.30, 17.30). საავტომობილო სპორტი (19.30, 22.30, 23.00).

23 თებერვალი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (15.25). საფეხბურთო მიმოხილვა (22.00). ჩემპიონთა ლიგა: „ბაიერნი" — „არსენალი" (22.45). მიმოხილვა (1.00). „ბარსელონა" — „ჩელსი" (2.00); *НТВ* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ესპანეთის „ბარსელონა" — ინგლისის „ჩელსი" (1.20); *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. ესპანეთის „რეალი" — „იტალიის „იუვენტუსი" (12.20), გერმანიის „ბავარია" — ინგლისის „არსენალი" (14.15), თავისუფალი დარტყმა (16.10, 20.15), იტალიის ჩემპიონატი (16.25), ლიბერტადორესის თასის მატჩების (17.20) მიმოხილვა. „ფუტბოლ მუნდიალი" (17.50). ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: ინგლისის „ლივერპული" — გერმანიის „ბაიერი" (18.20), ჰოლანდიის პსვ — საფრანგეთის „მონაკო" (20.35), ესპანეთის „ბარსელონა" — ინგლისის „ჩელსი" (22.35), გერმანიის „ვერდერი" — საფრანგეთის „ლიონი" (0.35). კალათბურთი. ნბა (3.00, 5.30, 6.00, 6.30) 2002-2003 წ.წ. სეზონი: „ტორონტო რაპტორსი" — „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი". *НТВ плюс спорт.* „ბილიარდის მეფეები" (12.30). „სპორტული გლობუსი" (13.15), ბილიარდი. (17.20) სინქრონული ცურვა, რუსეთის ღია თასი (21.40). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი. „მანჩესტერ იუნაიტედი" — იტალიის „მილანი" (22.35). EUROSPORT. ფეხბურთი. ევროგოლები (11.00). ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00, 12.45, 16.00, 16.45, 22.00, 2.30). ჩოგბურთი. „ვტა"-ს ტურნირი (14.30). „ატპ"-ის ტურნირი (18.00, 19.30). ევროსპორტის ახალი ამბები (0.45). ფეხბურთი. უეფას თასი. ჩეხეთი (1.00). **7-ტვ.** სპორტული ცეკვები (8.30, 13.30, 20.30, 2.00). პროფესიული კრივი „101 დიდი ნოკაუტი" (11.40). ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (12.30, 17.30, 22.10).

24 თებერვალი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (15.25). **რუსეთის 1-ლი არხი.** ფეხბურთი. უეფას თასი. პორტუგალიის „ბენფიკა" — რუსეთის ცსკა (23.00). *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: პორტუგალიის „პორტუ" — იტალიის „ინტერი" (12.20), გერმანიის „ვერდერი" — საფრანგეთის „ლიონი" (14.15). ესპანეთის „ბარსელონა" — ინგლისის „ჩელსი" (16.25), ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი" — „იტალიის „მილანი" (18.20). ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩების მიმოხილვა (21.40). საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (23.10), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (0.05). თავისუფალი დარტყმა (1.00). კალათბურთი. ნბა (3.00, 5.00, 5.30, 8.00). *НТВ плюс спорт.* ბილიარდი (14.45). სინქრონული ცურვა. რუსეთის ღია თასი (22.15). ჭადრაკი. ლინარესის სუპერტურნირი (23.15). EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. (10.30, 13.30, 14.15, 17.45, 21.00). ფეხბურთი. უეფას თასი. ჩეხეთი (12.00, 0.45). ჩოგბურთი. „ვტა"-ს ტურნირი (16.30). კრივი. პროფესიონალები (23.00). ევროსპორტის ახალი ამბები (0.30). ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა. დიდი ბრიტანეთი (2.15). **7-ტვ.** „ესპანეთის ფეხბურთი". 23-ე ტურის მიმოხილვა (8.10). პროფესიული კრივი „101 დიდი ნოკაუტი" (11.40, 22.10). სპორტული ცეკვები (13.30, 17.30, 2.00). საავტომობილო სპორტი (19.30, 22.30, 23.00).

კროსვორდი

თარაზულად: 1. ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მცველი, 7. მშვილდის ისრების ჩასაწყობი, 8. იალქანი, ანუ... 9. ქართული სპორტული გაზეთი, 10, საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 13. მთათა სისტემა დასავლეთ ციმბირის სამხრეთში, 14. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 16. იტალიის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი 2004 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. 17. ჯერ ისევ რუსეთის საფეხბურთო კავშირის თავკაცი, 21. შეფასება ძიუდოში, 23. სპორტული პრიზია ერთგვარი, 24. ერთგვარი თამაში ბურთით ინგლისსა და აშშ-ში, 25. საბჭოთა საფეხბურთო ნაკრების ცნობილი კაპიტანი, 26. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 27. ფორმულა-1-ში 1996 წლის გამარჯვებული, 28. საჭიდაო ხალიჩა.



შვეულად: 1. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი, 2. პროფესიონალი მოკრივე, 3. სპორტის სახეობა, 4. მსოფლიოს ექსჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის, 5. იაპონელი ვაჟი ტანმოვარჯიშე, მრავალჭიდში ოლიმპიური ჩემპიონი (1968), 6. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 11. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი, 12. წარსულში თბილისის „დინამოს" არაქართველი ფეხბურთელი, გურამ... 15. სპორტსმენებისთვის აკრძალული, აღმგზნები ფარმაკოლოგიური საშუალებები, 18. ერთგვარი თამაში, ხის ბურთის ბოთლებისმაგვარი სამიზნეების მიმართულებით გაგორება, 19. ბადმინტონის ბურთი, 20. ტურისტთა საყვარელი ცეცხლი, 22. საწვრთნელი ბაზის ადგილი ფეხბურთელებისათვის გურიაში.

მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. „ატლანტა", 4. „ფია", 6. „ულმი", 7. მარტინა. 9. ფორვარდი, 11. „სიენა", 12. „ლანსი", 13. „რომა", 14. რულოვსი, 17. გო, 19. ნაკანი, 20. აშვეთია, 23. ჩოჩიშვილი, 25. ბალაძე, 28. ალბერვილი, 29. ზიდანი.

შვეულად: 2. ტრაპი, 3. ნინა, 4. „ფიტა", 5. „ადიდასი", 6. ურო, 8. ტანვარჯიში, 9. „ფალავანი", 10. „ვილი", 11. „სარაგოსა", 15. „არაუ", 16. „არისი", 18. „მაშავერა", 21. „ელჩე", 22. პასი, 24. ჩილე, 26. ალა, 27. კიი.

ჰოპკინსმა ისტმენი დაამარცხა

40 წლის პროფესიონალმა მოკრივემ ბერნარდ ჰოპკინსმა შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული საშუალო წონით კატეგორიაში. გუშინწინ მან ბრიტანელი ჰოვარდ ისტმენი დაამარცხა.

საინტერესოა, რომ ბრიტანელი მოკრივე ერთხელაც არ დაცემულ, მაგრამ მსაჯებმა ქულებით (119:110, 117:111 და 116:112) უპირატესობა ჰოპკინსს მიანიჭეს. „მე ვიცოდი, რომ ისტმენი ძლიერი მოკრივე იყო, ბრძოლის დროს თავისი შესაძლებლობები სრულად გამოავლინა," — განაცხადა ბრძოლის დასრულების შემდეგ ჰოპკინსმა.

რაც შეეხება ისტმენს, იგი 34 წლისაა. თავის პროფესიონალურ კარიერაში, ბერნარდ ჰოპკინსამდე მხოლოდ ერთხელ დამარცხდა — წარსულში კარგად ცნობილ უილიამ ჯოპისთან, — ეს იყო 4 წლის წინათ. 2003 წელს ისტმენი ევროპის ჩემპიონი გახდა საშუალო წონაში.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია სამძიმარს უცხადებს საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს თავისუფალ ჭიდაობაში ნუგზარ სხირელს შვილიშვილის გარდაცვალების გამო.

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი

(სოფ. კარდენახი)



შამათი 3 სვლაში

№12-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.ლa6!

1. ..... მფ:f4 2. ლf1X, 1. ..... მფg6 2. ლ:e6X, 1. ..... c3 2. ლf3X, 1. ..... e5 2. ლf6X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport@hotmail.com